/2 ჟნოპ.

603/2 N 19.558

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 86
(11 440)

31 ოქტომბერი – 2 ნოემბერი, 2000 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

## უშუქობა ეროვნულ ჩემპიონატს ჩაშლით ემუქრება

როგორც ეტყობა, ამ შემოდგომა-ზამთარს და, ალბათ, გაზაფხულსაც „ეი-ი-ეს თელასი“ ქართულ სპორტსაც ისევე გააწამებს, როგორც მოსახლეობას – ეს იქნება ელექტროენერგიის ჩართვა-გამორთვით პერმანენტული წამება, რასაც ფსიქოზამდე მიჰყავს ადამიანები. ახლა „ეი-ი-ეს თელასის“ ექსპერიმენტის სპორტულ ბაზებზე დანერგვაც წარმატებით დაიწყო – შუქს ან პირდაპირ შეჯიბრების დროს გამოგითიშავენ ან ტურით გათვალისწინებული დღის მატჩების სრულად გამართვის შესაძლებლობას არ მოგცემენ. ეს უფრო დახვეწილი სადისტური მეთოდია, რადგან ერთდროულად მასების რამდენიმე კატეგორიას „ასწავლი ჭკუას“ – სპორტსმენებს, სპორტის ფუნქციონერებს,, სპორტული ბაზის ხელმძღვანელებს, მაყურებელს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ტელეკრანთან მოკალათებულთ და ან რადიო მსმენელსაც, თუ სპორტული პაექრობა ეთერში გადის. აი, ასე სჯის ქართული ენერგოსისტემისთვის „მხსნელად მოვლენილი“ სქოული და მისი უწყება ორგანზაციებსაც, რომლებსაც ფინანსური ხელმოკლეობა არ აძლევთ ვალის გასტუმრების შესაძლებლობას. მაგალითად, ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზის დირექციას 8 ათასამდე ლარი აქვს გადასახდელი, მაგრამ ვერ ისტუმრებს მხოლოდ იმის გამო, რომ ფედერაციას და დარბაზს ფული არ აქვს. ახლა მათ მხოლოდ მერია თუ იხსნის. „თქვენ გიჩვენებთ სეირსო“, – უთქვამთ „ეი-ი-ეს თელასში“, დაუდარაჯდნენ და კალათბურთში ეროვნული ჩემპიონატის მიმდინარეობისას, გასულ შაბათს, იყარეს გულისჯავრი. დენის გამოთიშვის ოსტატებმა ის დღე აშკარად ჩაამწარეს კალათბურთის ოსტატებს, საერთოდ ყველას, ვინც დარბაზში მივიდა.

„დინამო“ – „შევარდენის“ მატჩის ჩატარება შევარდნელებმა არ მოისურვეს ბუნებრივ განათებაზე, იმ მიზეზით, რომ დღის სინათლე ფანჯრებიდან არასაკმარისად, არათანაბრად ანათებდა დარბაზს. წესით, ვერ შეედავები, გუნდს უფლება აქვს მოითხოვოს შეჯიბრების ჩატარების ნორმალური პირობები. „დინამო“, მართალია, თანახმა იყო, მაგრამ მატჩი ორ მეტოქეს შორის იმართება და ეს ის შემთხვევა იყო, როცა ერთ-ერთმა თავისი უფლება გამოიყენა.

– რას ჰქვია თანაბარ პირობებში ვითამაშოთ, – ცხარობდნენ „შევარდენის“ მესვეურები. ამას შეჯიბრების წესები არ ითვალისწინებსო და, მართალიც იყვნენ. თანაბარ პირობებში, ასე თუა, სრულიად ბნელ დარბაზშიც შეიძლება თამაში.

მოკლედ „ეი-ი-ეს თელასმა“ თავისი გაიტანა და ის დღე დარბაზის ადმინისტრაციის წინააღმდეგ მათი გამარჯვებით (1-0) დასრულდა.

აი, კიდევ ორმა წყვილმა კი იმ მზიან დღეს როგორღაც მოასწრეს თამაში –„აზოტი“ – „ვითა“ 87:66; თსუ-სსუ 84:67; კვირას დაგეგმილი სამივე მატჩი იგივე მიზეზით (უშუქობა) გადაიდო.

ბათუმში „ბასკომ“ „სტუ“ მიიღო და დაამარცხა 91:65.

შეუძლებელია ეროვნული ჩემპიონატის მატჩები ერთ ქალაქში ნორმალურად ტარდებოდეს, მეორეში – არა. ეს რაღა ჩემპიონატია!

თუ ასე გაგრძელდა ეროვნული ჩემპიონატი ჩაიშლება.

## გუშინ: «ლოკომოტივი» — «მერანი»



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

3



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

2

## თბილისმა ძიუდოში საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა

## ქართულ ფეხბურთს საიმედო ცვლა ეზრდება



4

## პირველი ცნობები სტამბულიდან

ვაჟთა 125 და ქალთა 85 ნაკრები — ამდენი მონაწილე საერთაშორისო ოლიმპიადებს არასოდეს ჰყოლია. მეტოქეებმა ორივე შეჯიბრებაში, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის, 13-13 პარტია უნდა ითამაშონ.

საქართველოს ქალთა ნაკრებმა პირველ ტურში მშრალი ანგარიშით — 3:0 დაამარცხა ფინელები. რის შემდეგ ლიდერთა მრავალრიცხოვან ჯგუფში აღმოჩნდა. აი, მეორე ტურში კი მატჩი ინდიელებთან ყაიმით 1,5:1,5 დასრულდა.

ვაჟებმა პირველ ტურში ანგარიშით 4:0 მოუგეს უსინათლო მოჭადრაკეებისაგან შედგენილ მსოფლიო ნაკრებს, მეორე ტურში კი ყაიმით 2:2 ითამაშეს კანადელებთან.

## ...და კიდევ დღევანდელ ნომერში წაიკითხავთ:

- ქართული ფეხბურთი: ეროვნული ჩემპიონატი, რეგიონული ლიგა, ბავშვთა ლიგა
- ძიუდოისტები – მომავალი ოლიმპიელები!
- მესხეთში თავისუფალი ჭიდაობა აღორძინდა
- ქართული ჭიდაობას რომ მოამაგენი ჰყოლია...
- მიხეილ შუმახერი – წარმატებისთვის იტალიელივით აულაგმავი...
- კრამნიკი ამარცხებს კასპაროვს?

## „თბილისობაზე“ სპორტული ობიექტებიც მოინახულეს





„თბილისობის“ დღესასწაული იშვიათად თუ ჩაივლის ისე, რომ დედაქალაქს ან ახალი სპორტული სარბიელი არ შეემატოს ან ძველი არ განახლდეს. ეს ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. სწორედ ამ დღისთვის განაახლა მუშაობა დიდუბის რაიონის სასკოლოთაშორისო საცურაო აუზმა დიღმის მასივში, რომელიც წლების განმავლობაში თანდათან გამოვიდა მწყობრიდან და უმოქმედოდ იყო. მისი განახლებისათვის საჭირო თანხები დედაქალაქის მერიამ გაიღო.

საქართველოს პრეზიდენტმა და ქვეყნის სხვა ხელმძღვანელებმა მოინახულეს ობიექტები, რომლებიც „თბილისობისთვის“ ჩადგნენ მწყობრში, ზოგიერთის, მათ შორის „ლოკომოტივის“ სტადიონის თითქმის ხელახალი მშენებლობა კი ამჯერადაც მიმდინარეობს. საქართველოს პრეზიდენტი ამ ობიექტსაც ეწვია. პრეზიდენტს განუმარტეს, რომ სტადიონი 30 ათას მაყურებელზეა გათვალისწინებული და აღიჭურვება მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი მოწყობილობებით. უკვე დაიგო ბალახის საფარი, მონტაჟდება ტაბლოები და გასანათებელი ხელსაწყოები, მიმდინარეობს ტრიბუნების კეთილმოწყობა. მშენებლობა, რომელსაც აფინანსებს „საქრკინიგზა“ და ქალაქის მერია, მომავალი წლის გაზაფხულზე დასრულდება.

თბილისობას მიეძღვნა ცალკეული სპორტული ღონისძიებები.

საააგენტო „გუმათი“



„თბილისობიდან“ ფოტორეპორტაჟი მოამზადა ალექსანდრე კოტორაშვილმა




## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 10 თვე დარჩა

...სიდნეის ოლიმპიადამ დაადასტურა, რომ ამოუწურავია საქართველოს სპორტული პოტენციალი: ყოველ სოფელში და, რა თქმა უნდა, ქალაქში მოიძებნება ნამდვილად ჭეშმარიტი ტალანტი.

*ე. შევარდნაძე*

## მადლობა გმირების დაფასებისათვის

სიდნეიში ჩვენი სპორტსმენების წარმატებამ მთელი ჩვენი ქვეყანა გაახარა და აღაფრთოვანა. გულწრფელი მადლობა ქვეყნის პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს, ჩვენ მთავრობას, ჭეშმარიტი გმირების – ოლიმპიადის ყველა პრიზიორის ესოდენ დაფასებისათვის. ეს ყურადღება სტიმულს მისცემს ოლიმპიელთა ახალ თაობას უკეთ იასპარეზონ მომავალ თამაშებზე ათენში.

**გურამ საღარაძე,**
პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე, მსოფლიო ორგზის ჩემპიონი

## ყრილობა 29 ნოემბერს

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის გაერთიანებული გამგეობის 2000 წლის 20 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად, მიმდინარე წლის ***29 ნოემბერს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საქტო დარბაზში, 12 საათზე მოწვეულია ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.***

გაერთიანებული გამგეობის დადგენილების შესაბამისად, კანდიდატურის დასახელება შეუძლია ფედერაციის გამგეობას და აგრეთვე ტანვარჯიშის სახეობების განვითარებასა და ოლიმპიურ მოძრაობაში განსაკუთრებული დამსახურების მქონე ფიზიკურ პირებს.

განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნას ფედერაციაში საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის ჩატარებამდე 15 დღით ადრე.

დაგვიანებით შემოსული განცხადებები აღარ განიხილება.

**გამგეობა**

## თქვენთვის, ერუდიტებო!

***1. ვინ იყო საქართველოს პირველი საფეხბურთო ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირი?***
ა) გია გურული
ბ) მამუკა ფანცულაია
გ) ორივე

***2. ვინ იყო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის რჩეული ფეხბურთელი 1997-98 წლების სეზონში?***
ა) რატი ალექსიძე
ბ) ზურაბ იონანიძე
გ) დავით მუჯირი

***3. ვინ დაისაკუთრა საქართველოს რჩეული ფეხბურთელის პრიზი 1994-95 წლების საფეხბურთო სეზონში?***
ა) აკაკი დევაძე
ბ) თემურ ქეცბაია
გ) ზაზა ჯანაშია

***4. რომელმა გუნდმა მოიპოვა საქართველოს სუპერთასი 1996 წელს?***
ა) დინამო (თბილისი)
ბ) დინამო (ბათუმი)
გ) ტორპედო (ქუთაისი)

***5. დაასახელეთ 1990 წლის საქართველოს თასის მფლობელი გუნდი***
ა) დინამო (თბილისი)
ბ) გურია (ლანჩხუთი)
გ) ცხუმი (სოხუმი)

**ძიუდო** **თბილისის საერთაშორისო ტურნირი**

# ისევ ძიუდოზე და კვლავ „ათენი-2004"-ის კონტურებზე

ერთკვირიანი „წუთშესვენების" შემდეგ ჭიდაობის მოყვარულნი ისევ ტატამმა მიიზიდა, ოღონდ უფრო წარმომადგენლობითმა, ვიდრე კვირის თექვსმეტწლამდელთა პირველი საერთაშორისო ტურნირი იყო. აზერბაიჯანელ, სომეხ, რუსეთელ ძიუდოისტებთან ერთად, ამჯერად თბილისელთა წინაშე ფრანგი, ლიტველი, ბერძენი და ისრაელელი მოჭიდავეებიც გამოვიდნენ. რითაც, რა თქმა უნდა, ტურნირის აქციები გაიზარდა და მასთან ერთად ინტერესიც.

და კიდევ, წინა ტურნირის მიმოხილვისას საკმაოდ გაბედულად ჟღერდა სათაური, ვინაიდან მომავალი ოლიმპიელები იგულისხმებოდა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ შეჯიბრების მონაწილეთა შედარებით მცირე ასაკს ათენის ოლიმპიადაზე გამოსვლის მათი შანსი, უფრო ნაკლებად მოსალოდნელი მოსჩანს, ვიდრე თბილისის XXVIII ტრადიციული ტურნირის მონაწილეებისა. აქ ხომ სპორტულ სიმწიფეში შესული უმეტესად 22-25 წლის ძიუდოისტები გამოდიოდნენ, მომავალი ოთხწლეულის ბოლო წელს სწორედ მათ მოუწევთ თქვან XXVII ოლიმპიადაზე თავიანთი წონადი ყიდვა.

ამას მოწმობს, თუნდაც ის, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ახლა ყოველ მსგავს შეჯიბრებას ფრანგები, რომლებიც იაპონელების შემდეგ, ნიდერლანდებთან ერთად ჭიდაობის ამ სახეობის მოდის კანონმდებლები არიან. ისინი ჩვენს დედაქალაქს საკმაოდ ძლიერი შემადგენლობით ეწვივნენ, რაც იმის დასტურია, რომ ამთავითვე ფიქრობენ ათენის ოთაბრძოლებზე.

აი, რა განაცხადა მათმა მწვრთნელმა ლორან დელ-კოლომბომ: — „ვფიქრობ, თქვა მან, — ჩვენს მოჭიდავეებს საკმაო გამოცდილებას შესძენს აქ ჩამოსვლა, ვინაიდან ქართველი ძიუდოისტების ავტორიტეტი მსოფლიოში კვლავ წინა პლანზეა. ამიტომ ტურნირის შემდეგ, დავრჩებით აქ და თქვენს მოჭიდავეებთან ერთად ერთკვირიან შეკრებას გავივლით, რაც საშუალებას მოგვცემს ძიუდოს სამშობლოში, სადაც ასევე საწვრთნელი შეკრებისათვის ვეწვევით, თბილისის შემდეგ მთლად „პირველკლასელთა" როლში არ აღმოვჩნდეთ. იმედი მაქვს, ეს ორი ტურნე დიდ სარგებლობას მოგვიტანს ათენისათვის სათანადოდ რომ მოვემზადოთ".


*რობერტ ბაგოიანის ფოტო*

*გამარჯვებულს და პრიზიორებს აჯილდოებს გ. კანკავა*

რაც შეეხება ტატამის მასპინძლებს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთ ადგილზე არა ვართ გაჩერებული და წინსვლა არის. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ქართველი ძიუდოისტები აშკარად დომინირებდნენ სარბიელზე, რაც ახალი სახელების წარმოჩენაშიც გამოიხატა. ეს პირველ ყოვლისა, ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულ ლაშა სარდანაშვილზე (60 კგ) ითქმის, რომელიც ძიუდოს ნამდვილ ოსტატად ჩამოყალბდა, მთელი ტურნირი სათა-


*ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო*

ნადო სიძლიერით წარმართა, ფინალამდე სძლია სომეხ სპორტსმენს ა. ხაჩატრიანს, ფრანგ კ. სოვეს, ფინალში კი თანამემამულე აკაკი ხანიაშვილი დაამარცხა და ტურნირის გამარჯვებულის სახელი მოიპოვა.

ფინალურ შეხვედრებში არც სიურპრიზს დაუყოვნებია და იგი ევროპის ჩემპიონმა ახალგაზრდებს შორის თბილისელმა დათო მარგოშვილმა შემოგვთავაზა, რომელმაც 1 წუთსა და 32 წამში წმინდა გამარჯვება მოიპოვა მსოფლიოს შარშანდელ ბრინჯაოს პრიზიორ ნესტორ ხერგიანთან შერკინებაში.

მაყურებელი დიდი ინტერესით ელოდა +100 კგ წონით კატეგორიაში ფინალურ შეხვედრას, რომელშიც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საკმაოდ ცნობილი ტატამის ოსტატები — რამაზ ჩოჩიშვილი და ალექსანდრე დავითაშვილი. ამ სუპერმძიმეწონოსანთა წინა შეხვედრებში მცირე უპირატესობა ა. დავითაშვილის მხარეზე იყო, მაგრამ ბრძოლამ საკმაოდ „მშვიდად" ჩაიარა და მისი ბედი გადაწყდა „პანტეით", რის შედეგადაც მსაჯებმა გამარჯვებულად რ. ჩოჩიშვილი სცნეს. ქართველ მოჭიდავეთა გამოსვლების შეფასება ვთხოვე ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელს, ოლიმპიურ ჩემპიონ შოთა ხაბარელს: „ჩვენი ბიჭების გამოსვლებით ძალიან კმაყოფილი ვარ, რაც შეეხება სამომავლო პროგნოზებს, ლაპარაკი ჯერ ადრეა. მთავარი ის არის, რომ ნაკრებში ადგილის მოსაპოვებლად დიდი კონკურენციაა. ეს საიმედოა. გუნდში მოხვედრის შანსი გაუჩნდათ ახალგაზრდებსაც, ლაშა სარდანაშვილს, დათო მარგოშვილს, ფირუზ ტყეშელაშვილს, დავით ნადარაიას...

**ზ. უნგიაძე**

**კვარცხლბეკი:** ***60 კგ:*** 1. ლაშა სარდანაშვილი, 2. აკაკი ხანიშვილი, 3. გიორგი კურნტანიძე (სამივე — საქართველო), 3. კრისტიან სუაიე (საფრანგეთი); ***66 კგ:*** 1. დავით მარგოშვილი, 2. ნესტორ ხერგიანი, 3. ბესიკ ორბელაძე (სამივე — საქართველო), 3. ნიჯათ სულთანოვი (აზერბაიჯანი); ***73 კგ:*** 1. არჩილ ჩოხელი, 2. დავით ნადარაია, 3. ფირუზ ტყეშელაშვილი (სამივე — საქართველო), 3. კრისტიან მასინა (საფრანგეთი), ***81 კგ:*** 1. ანდრე ალარი, 2. სედრიკ კლავერი (ორივე — საფრანგეთი), 3. ზაზა მამულაშვილი, 3. მორის თადუმაძე (ორივე — საქართველო). ***90 კგ:*** 1. დევიდ ბოზოკლიანი (საფრანგეთი), 2. არამ ღარიბიანი (სომხეთი), 3. გიორგი ყიზილაშვილი, 3. ზაზა პავლიაშვილი (ორივე — საქართველო), ***100 კგ:*** 1. ივერი ჯიქურაული (საქართველო), 2. მისლენ ლემარი, 3. სალე ლეგარდი (ორივე — საფრანგეთი), 3. გიორგი კოროხაშვილი (საქართველო). ***+100 კგ:*** 1. რამაზ ჩოჩიშვილი, 2. ალექსანდრე დავითაშვილი, 3 ზურაბ ჩინჩალაძე (სამივე — საქართველო), 3. მიშელ ლეკანუ (საფრანგეთი).

***ქალები: 52 კგ.*** 1. დენის ახტარი (თურქეთი), 2. ზირაი ყარაჯალი (ცახი — აზერბ.), 3. ბაქარ მამედოვა, 3. გიულზარ მუსტაფაევა (ორივე — აზერბაიჯანი), ***57 კგ.*** 1. საიდა აჰ ალინი (თურქეთი), 2. დილია ქერიმოვა (აზერბაიჯანი). ***63 კგ:*** 1. ნინო მირუაშვილი (საქართველო), 2. ენდრო აჰაიდინი (თურქეთი).

**თავისუფალი ჭიდაობა** **მესხეთის პირველობა**

# ერთად დგომისა და ერთსულოვნების მადლი სულ სხვაა...

თავისუფალ ჭიდაობას, სულ რაღაც ორი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი ახალციხეში და დღეს უკვე აქაური ჭაბუკები ხალიჩაზე გამოდიან სასპარეზოდ, რაიონში ხშირად იმართება სხვადასხვა შეჯიბრება. მესხეთ-ჯავახეთში სპორტის საერთაშორისო სახეობების დაფუძნება ცალკეულ ენთუზიასტთა სახელებთანაა დაკავშირებული. განსაკუთრებით ეს ითქმის ამ საუკუნის 30-იან წლებზე. და აი, სახელოვან წინაპართა ტრადიციის ერთგულ დამცველად და გამგრძელებლად ამჟამად მოგვევლინა ზაზა ჩილინგარაშვილი, ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელიც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა თავის ისტორიულ კუთხეს და ხელი მოჰკიდა თავისუფალი ჭიდაობის აღორძინებას.

„ლელო" წერდა ადრე ამ მხარეში გამართულ შეჯიბრებებზე. ამჟამად ახალციხეში მესხეთის ღია პირველობა ჩატარდა თავისუფალ ჭიდაობაში. ამ ასპარეზობამ თავისებური ხიდი გასდო თბილისთან, კასპთან, გარდაბანთან, რომელთა წარმომადგენლები ადიგენის, ასპინძის და მასპინძლების, ახალციხის ჭაბუკ ფალავნებთან ერთად ჩაებნენ საქართველოს ისტორიული კუთხის — მესხეთის ღია პირველობაში. სულ ხალიჩაზე გამოვიდა 90 სპორტსმენი.

აქვე უნდა ითქვას, რომ ენთუზიასტ სპეციალისტს ზაზა ჩილინგარაშვილს და ახალციხის სპორტის მესვეურებს მხარში დაუდგა თავისი სამშობლოს და კუთხის ჭეშმარიტი პატრიოტი სოფელ არალის მკვიდრი ავთანდილ თათეშვილი, რომლის ქველმოქმედება საყოველთაოდაა ცნობილი. ეს მისი დამსახურებაა, რომ შეჯიბრება ჩატარდა ჩინებულად. უხვად იყო პრიზები და ფასიანი საჩუქრები.

— აქვე მინდა უდიდესი მადლიერებით მოვიხსენიო ახალციხის განათლების განყოფილების გამგე ნანა იოსელიანი და მისი მოადგილე პეტრე მერაბიშვილი, ახალციხის სასაზღვრო რაზმის მეთაური ბესო ზურაბაშვილი და შტაბის უფროსი თამაზ კილაძე, თსუ-ს ახალციხის ფილიალის დირექტორი მერაბ ბერიძე და წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის თავმჯდომარე კობა კაკაჩიშვილი, რომლებსაც უყვართ სპორტი, კარგად ესმით მისი მნიშვნელობა და მუდამ გვიწევენ პრაქტიკულ დახმარებას — ამბობს ზაზა ჩილინგარაშვილი.

**კვარცხლბეკი:** ***23 კგ:*** 1. ლერი კაჭკაჭიშვილი (არალი, უნივერ. საბაზო სკოლა), 2. ვალიკო კაკაჩიშვილი (ახალციხე, უნივერ. საბაზო სკოლა), 3. გიორგი მექოშვილი (ასპინძა); ***26 კგ:*** 1. თენგიზ ბადოშვილი (ახალციხე), 2. დავით თათეშვილი, 3. გოგა აფრიამაშვილი (ორივე — არალი); ***29 კგ:*** 1. სერგო ბათმანაშვილი (არალი, უნივერ. საბაზო სკოლა), 2. გაგა ღვინიაშვილი (თბილისი), 3. თორნიკე თათეშვილი და კახაბერ კუსიანი (ორივე — არალი); ***32 კგ:*** 1. გიორგი მურვანიძე, 2. მირზა ინასარიძე (ორივე — გარდაბანი), 3. მამუკა ბათმანაშვილი (არალი, სასაზღ. ჯარის საშ. სკო), ***35 კგ:*** 1. ლადო დოლიძე (თბილისი), 2, დათო ლომიძე (ახალციხე), 3. ალიკა მექოშვილი (ასპინძა). ***38 კგ:*** 1. ლევან მეტრეველი (თბილისი), 2. ირაკლი აფრიამაშვილი (არალი, სასაზღ. ჯარის საბაზო სკოლა), 3. მამუკა კურტანიძე (ახალციხე); ***42 კგ:*** 1. გია ჩილაშვილი (გარდაბანი), 2. გელა ლურსმანაშვილი (ახალციხე), 3. ბესო ზედგენიძე (გარდაბანი); ***46 კგ:*** 1. გაგა სამხარაძე (ახალციხე), 2. ზურაბ ბეგიაშვილი (თბილისი), 3. მერაბ ბადოშვილი (ახალციხე, სასაზღ. ჯარის საბაზო სკოლა).

**ლევან ამირეჯიბი,**
*ახალციხე*



## თინეიჯერებმა ბოლი არ დაუდეს

მოზრდილთა შეჯიბრებებში ამ ასაკის გამარჯვებულ გოგონებს ტანვარჯიშში, ცურვაში, წყალხტომში თუ შეხვდებით. აი, ჩოგბურთში კი... საქართველოს ჩემპიონობისათვის ბრძოლაში მათ ტოლი არავის დაუდეს. განსაკუთრებით იყოჩაღა მწვრთნელ მარინე მალაციძის 13 წლის მოწაფემ თინათინ ყავლაშვილმა, რომელმაც ფინალში – 6:2, 6:3 სძლია 14 წლის ნანა უროტაძეს და მოიპოვა პირველობა, მესამე ადგილი წილად ხვდა 13 წლის სოფიკო მელიქიშვილს. წყვილთა ტურნირში პირველობა არავის დაუთმეს ნინო ესებუამ და ნანა უროტაძემ. მათ ფინალში დაამარცხეს თამარ ზედგენიძე-ეკა მჟავიას დუეტი.

ვაჟთა შორის უძლიერესის სახელი მიხეილ ჩადუნელს ერგო, მეორე ადგილზეა მიხეილ ენუქიძე. მათი ფინალური ბრძოლის ანგარიშია 6:2, 3:6, 6:1 პირველის სასარგებლოდ. მესამე საპრიზო ადგილზე მიხეილ ჩოხელია. წყვილთა ფინალში მ. ჩადუნელმა და ზვიად ცერცვაძემ 4:6; 6:2; 6:1 დაამარცხეს მ. ჩოხელი და ზურაბ ჟვანია.

**ფოტოვიქტორინა**


*1959 წელი. ქუთაისის, იმერეთის ფეხბურთელთა გუნდი. ვინ არიან აღბეჭდილნი სურათზე? (პასუხი მოგვაწოდეთ 15 ნოემბრამდე).*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა, XI ტური

*ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 30 ოქტომბერი*

**ლოკომოტივი (თბილისი) — მერანი-91 (თბილისი) 2-0**

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, თოდუა, გ. კვარაცხელია, ჭიჭველიშვილი, გოგიჩაიშვილი (გილაური, 60), დავითაშვილი (პორომონოვი, 46), გ. შენგელია, რუსია (გონჩაროვი, 46).

**მერანი:** დევაძე, ილურიძე, ცქიფურიშვილი (თოლორდავა, 82), დევიძე, ფოცხვერია, გ. კვეტენაძე, კობესაშვილი, დ. გოდერძიშვილი (ბაჯელიძე, 72), როსტიაშვილი, მინაშვილი, მუხინი.

*გოლები:* ჭიჭველიშვილი (68), პორომონოვი (90).

*მსაჯი:* ა. შალამბერიძე (ქუთაისი).

## „ლოკომოტივმა“ „მერანს“ გაუსწრო

ეროვნულ სტადიონზე მოსული მცირერიცხოვანი მაყურებელი თანაბარძალოვან მეტოქეთა საინტერესო მატჩის მოწმე გახდა. მე-15 წუთზე გოგიჩაიშვილმა ჩინებულად დაარტყა საჯარიმო, მაგრამ „მერანს“ ძელმა უშველა, ასხლეტილ ბურთზე რეაგირება ყველაზე ადრე ჭიჭველიშვილმა მოასწრო, მაგრამ ავჭალელებს ისევ ძელი დაეხმარა. ამ მომენტიდან „მერანიც“ ამოძრავდა, თამაში თანდათან გაათანაბრა. მიუხედავად პირველი ტაიმის ნულოვანი ფრისა, საქმე ორივე გუნდის მეკარეს ბლომად ჰქონდა. „მერანი“ ბევრს ცდილობდა ეროვნული სტადიონიდან ახლა მაინც წასულიყო ქულების მარაგით. სახიფათო ეპიზოდები შექმნეს მუხინმა, ფოცხვერიამ, მაგრამ მათმა აქტიურობამ სასურველი შედეგი არ დააფიქსირა. მეორე ტაიმში „ლოკომოტივმა“ აქცენტი შორეულ, გამიზნულ დარტყმებზე აიღო და საწადელსაც მიაღწია. გოგიჩაიშვილის კიდევ ერთი, უზადოდ შესრულებული ჯარიმა ამჯერად მოწოდების სიმაღლეზე მდგარმა დევაძემ კუთხურზე მოიგერია, ამ შეტევას ორივე კართან კუთხურები და მეტოქეთა სახიფათო შეტევები მოჰყვა. 68-ე წუთზე „მერანს“ მეკარის ოსტატობამ ვეღარ უშველა. ჭიჭველიშვილმა შორი მანძილიდან მოჭრილი დარტყმით ბურთი დევაძის კარის ცხრიანში მოათავსა და ანგარიში გახსნა. რკინიგზელებმა ავჭალელებს ისევ შეუტიეს და მათი უპირატესობის დასტური შეცვლაზე შემოსული ფეხბურთელების გილაურის ძელს მოხვედრილი ბურთი და მატჩის ბოლოს, პორომონოვის დიდებული სოლო რეიდის შემდეგ გატანილი მეორე გოლი იყო. ამ გამარჯვებით „ლოკომოტივმა“ ლიდერთან ქულათა სხვაობა ოთხამდე შეამცირა.

**საბა ლომინაძე**



«ლოკომოტივი» — «მერანი»

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

## „დინამო“ მრისხანებას იბრუნებს

**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 29 ოქტომბერი.**

**დინამო (თბილისი) — გორდა (რუსთავი) 2-0**

**დინამო:** ჩიხრაძე, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, ა. სახვაძე, შაშიაშვილი, ზამთარაძე, მაზიაშვილი (ბურდული 71), სიჭინავა, გადელია (გოგოლაძე 75), ზირაქიშვილი (რუხაძე 75), ჯინჭარაძე.

**გორდა:** ნიკურაძე, მჭედლიძე, ლაშა სილაგაძე, ბურნაძე, ფოჩხუა, კ. ალადაშვილი, ზურაბ ლაბაძე (მ. სახვაძე 64), ბუკია (ივეჩიანი 64), ბაჩილავა, კიტეიშვილი (მელაძე 60), მიშველიძე.

**გოლები:** ზირაქიშვილი (50), გოგოლაძე (80).

**გააფრთხილეს:** გადელია (39), ა. სახვაძე (56).

**მსაჯი:** ა. ორდინიძე (ონი).

ტურიდან ტურამდე საქართველოს ათგზის ჩემპიონი ნელ-ნელა იბრუნებს დაკარგულ ავტორიტეტს. რეზო არველაძისა და მისი კოლეგების შრომა სასურველ შედეგს იძლევა. გუნდის თამაში სულ უფრო გააზრებული ხდება. მართალია, ბევრია ხარვეზიც, მაგრამ ჩემპიონატის დასაწყისთან შედარებაც არაა. მოგებას, მოგება მოსდევს და „დინამო“ ჩვეულ ადგილს იკავებს სატურნირო ცხრილში.

ასე იყო „გორდასთან“ სამასპინძლო მატჩშიც. პირველიდან ბოლო წუთამდე მასპინძელთა უპირატესობაში ეჭვი არავის შეპარვია.

მარტო პირველ ტაიმში დინამოელებმა ათი კუთხური მაინც მოაწოდეს და თუ გოლი ვერ გაიტანეს, რუსთაველთა გუნდის დაცვისა და მეკარის საიმედო თამაშის წყალობაა. მეორე ტაიმში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. თბილისელთა უპირატესობა უკვე გოლებშიც აისახა. თამაშის განახლებიდან ხუთ წუთში ზირაქიშვილმა თანაგუნდელების წამოწყებული კომბინაცია ლოგიკურად დაასრულა. რეზო არველაძეს შეცვლებმაც გაუმართლა. თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე გოგოლაძემ ლამაზი გოლით წერტილი დაუსვა „დინამოს“ გამარჯვებას.

„გორდა“ კი ცდილობდა თბილისიდან ქულა მაინც წაეღო შინ, მაგრამ, როგორც იტყვიან, ძალა ალმართს ხნავს და ძლიერმა გაიმარჯვა. ამ მოგებით „დინამომ“ მკვეთრად გაიუმჯობესა მდგომარეობა და თუ ასე გაგრძელდა, იგი ჩემპიონატის ფავორიტი ისევ იქნება. რუსთაველები ზედიზედ მეორე წაგებით ცხრილის ქვევით დაეშვნენ და სანუკვარ ექვსეულში შეღწევის საშუალება, სამწუხაროდ, ნელ-ნელა უმცირდებათ. თუმცა, ჯერ არაფერი დასრულებულა, წინ მთელი მეორე წრეა და თუ „დინამო“ ლიდერობისკენ ისწრაფვის, „გორდას“ მდგომარეობის გამოსწორებისთვის დრო კიდევ რჩება.

**საბა ლომინაძე**



«დინამო» თბ. — «გორდა»

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

**29 ოქტომბერი**

**დინამო (თბ) — გორდა 2-0**
**სიონი — თსუ 0-1**
**დინამო (ბთ) — იბერია 3-0**

**30 ოქტომბერი**

**ტორპედო — ვიტ ჯორჯია 1-1**
**ლოკომოტივი — მერანი 2-0**
**კოლხეთი 1913 — დილა 1-0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ტორპედო** | **11** | **10** | **1** | **0** | **19-3** | **31** |
| **ლოკომოტ.** | **11** | **9** | **0** | **2** | **24-6** | **27** |
| **დინამო (თბ)** | **11** | **7** | **1** | **3** | **21-12** | **22** |
| **ვიტ-ჯორჯია** | **11** | **6** | **3** | **2** | **16-6** | **21** |
| **კოლხ.1913** | **11** | **5** | **0** | **6** | **12-13** | **15** |
| **დინამო (ბთ)** | **11** | **4** | **1** | **6** | **14-14** | **13** |
| სიონი | 11 | 4 | 1 | 6 | 9-10 | 13 |
| მერანი | 11 | 3 | 4 | 4 | 12-16 | 13 |
| თსუ | 11 | 4 | 1 | 6 | 13-19 | 13 |
| გორდა | 11 | 2 | 5 | 4 | 10-18 | 11 |
| დილა | 11 | 2 | 2 | 7 | 8-19 | 8 |
| იბერია | 11 | 0 | 1 | 10 | 1-23 | 1 |

## პირველი ლიგა
### XII ტური

**თორი — თბილისი 1-0**
**მეტალურგი — სამგურალი 1-1**
**გურია-ლოკ2 — შუქურა 3-1**
**მილანი — ოკეანე 3-0**
**ცხინვალი — კოლხეთი (ხ) 5-1**

*გადმოტანილი მატჩები*

**გურია-ლოკ2 — მილანი 3-1**
**ივერია —დინამო (ზ) (31.X)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცხინვალი** | **12** | **8** | **1** | **3** | **36-12** | **25** |
| **გურია-ლოკ2** | **12** | **7** | **3** | **2** | **17-15** | **24** |
| **მილანი** | **12** | **7** | **2** | **3** | **18-9** | **23** |
| **შუქურა** | **12** | **6** | **2** | **4** | **16-10** | **20** |
| **თორი** | **12** | **6** | **2** | **4** | **13-10** | **20** |
| **დინამო (ზ)** | **11** | **6** | **1** | **4** | **18-13** | **19** |
| მეტალურგი | 12 | 5 | 4 | 4 | 13-11 | 19 |
| სამგურალი | 12 | 5 | 3 | 4 | 18-11 | 18 |
| კოლხეთი (ხ) | 12 | 3 | 4 | 5 | 8-14 | 13 |
| თბილისი | 12 | 2 | 1 | 9 | 4-20 | 7 |
| ოკეანე | 12 | 1 | 3 | 8 | 8-25 | 6 |
| ივერია | 11 | 1 | 2 | 8 | 5-23 | 5 |

## დარჩება ზურაბი არსენალში?

ამ კითხვაზე პასუხი „არსენალი“ — „საუთჰემპტონის“ გუშინდელ მეორე გუნდების მატჩს უნდა გაეცა. ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის და „არსენალის“ მოთხოვნის საფუძველზე ზურაბ ხიზანიშვილს სფფ-მ ერთი ოფიციალური მატჩის ჩატარების უფლება მისცა. თუ მეთოფეთა თავკაცს არსენ ვენგერს საქართველოს ნაკრების მცველი მოეწონა და თავისთან დაიტოვა, მაშინ სფფ-დან ახალი სერთიფიკატი იქნება გასაგზავნი ინგლისში.

## ბავშვთა ლიგა. VII ტური

*თბილისი. „ავაზას“ სტადიონი. „თბილისი“ — „გურია“ 7-1*

*გოლები:* 1-0 ლ. ხმალაძე (9); 2-0 ხმალაძე (31); 3-0 როსტომაშვილი (34); 4:0 ხმალაძე (53); 4:1 კოტრიკაძე (56); 5-1 ლაბაძე (58); 6-1 ლაბაძე (62); 7-1 ლაბაძე (70).

**თბილისი:** ყვავაძე; როსტომაშვილი, პერანიძე, ბზიკაძე (დეისაძე 42); ობგაიძე; რაზმაძე (ქენქაძე 52); ბურდილაძე; ხმალაძე, ბობოხიძე (ლაბაძე 36); გერსამია (ბორძიკული 45), ცირამუა (ბაიდარაშვილი 48).

**გურია:** უგრეხელიძე (ბიწაძე 58). ებრალიძე, კუნჭულია, სამსონაძე, ჩახვაძე (მშვიდობაძე 50); კვაჭანტირაძე; მორჩილაძე (პატარაია 58). მგელაძე, იმნაიშვილი; კვერენჩხილაძე; კოტრიკაძე.

*მსაჯები:* დავით ხარიკონაშვილი, ბესიკ ჭიჭინაძე, ზაზა ფიფია (ყველა თბილისი).

29 ოქტომბერს „თბილისმა“ ლანჩხუთის „გურიას“ უმასპინძლა. პირველი სახიფათო შეტევა მასპინძლებმა განახორციელეს, როდესაც გერსამიას პასს ბობოხიძემ დაუხვედრა ფეხი, მაგრამ ბურთს მეკარე დაეუფლა. ორიოდ წუთში ბობოხიძემ სახიფათოდ ჩააწოდა, რასაც ხმალაძის თავური მოჰყვა, მაგრამ მეკარემ ბურთი მოიგერია. მატჩის დაწყებიდან 9 წუთის შემდეგ ხმალაძის აქტიურობის შედეგად, მასპინძლებმა თერთმეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება მოიპოვეს. ბურთი თვით დაზარალებულმა გაგზავნა ლანჩხუთელთა კარში. მე-14 წთ-ზე ხმალაძის სახიფათოდ ჩაწოდებულ ბურთს ბობოხიძეზე ადრე სტუმართა მცველმა მოუსწრო და სიტუაციაც განმუხტა. მერე ცირამუა ცდილობდა ბურთი მეკარისათვის გადაეგდო თავზე, მაგრამ მის დარტყმას სიზუსტე აკლდა. ცოტა ხანში კი ხმალაძემ ანგარიში ორამდე გაზარდა. ორიოდ წუთში როსტომაშვილმა ულამაზესი დარტყმით დალაშქრა უგრეხელიძის კარი. მთელი პირველი ტაიმი მასპინძლები ბატონობდნენ მოედანზე.



თამაშის მეორე ნახევარში სტუმრები უფრო გააქტიურდნენ, მაგრამ მასპინძლები საკუთარ საჯარიმოში სახიფათო მომენტის შექმნის საშუალებას არ აძლევდნენ.

ცირამუამ სცადა შორეული დარტყმით ანგარიშის გაზრდა, მაგრამ მეკარე ბურთს ადვილად დაეუფლა. 53-ე წთ-ზე ბორძიკულის წინააღმდეგ საჯარიმოში უხეში თამაშისათვის პენალტი დაინიშნა, რომელიც ხმალაძემ დაარტყა და ჰეთ-თრიკიც შეასრულა. სამ წუთში სტუმრებმა კუთხური ჩამოაწოდეს, საჯარიმოში შექმნილ არეულობაში ყველაზე კარგად კოტრიკაძე გაერკვა. ორიოდ წუთში, მასპინძელთა კონტრშეტევა ლაბაძემ გოლით დააგვირგვინა. ცოტა ხანში ბურდილაძის კარგი პასით ლაბაძემ დუბლი შეასრულა. შეხვედრის ბოლო წუთზე კი იგივე ლაბაძემ თანაგუნდელს მიბაძა და ჰეთ-თრიკი მანაც გაიმეორა.

**ნინო ცირამუა**

## ტექნიკური შედეგები

**სიონი — თსუ 0-1**

**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, დიმიტრიშვილი (ჩაგელიშვილი 28, სვანიძე, 69), მინდიაშვილი (კ. მეტრეველი, 58), ბარნოვი, მოსეშვილი, სოლოლაშვილი, ისიანი, წივწივაძე.

**თსუ:** მამარდაშვილი, ზვიად ლაბაძე, ხარებავა, ებრალიძე, ე. ალადაშვილი, სვანაძე, გოცირიძე, წუწუნავა (არეშიძე, 90), ახალაძე (ადამია, 67), ერაძე, ვადაჭკორია.

*გოლი:* გოცირიძე (18)

*გააფრთხილეს:* მამარდაშვილი, ებრალიძე

*მსაჯი:* ა. შილაკაძე (თბილისი).

**დინამო (ბთ) — იბერია 3-0**

**დინამო:** ბედიაშვილი, ჩიჩუა, მინდაძე, მჟავანაძე, პაპიძე (სიხარულიძე, 46), თედორაძე (ქაცარავა, 54), ლლონტი, დარჩიძე, რომანაძე, აფხაზავა, ა. მუჯირი (სოხაძე, 61).

**იბერია:** ჩომახიძე, გ. ნოზაძე (ქვანია, 55), მიქელთაძე, გიორგაძე, ლ. ხმალაძე, სანიკიძე, მუმლაძე, გიგიაძე, ყურაშვილი (ბიწაძე, 17), ოდიკაძე, ონიანი.

*გოლები:* ლლონტი (9), რომანაძე (12), აფხაზავა (52).

*გააფრთხილეს:* მუმლაძე, მჟავანაძე.

*გააძევეს:* სანიკიძე.

მე-9 წუთზე პენალტი ვერ გამოიყენა აფხაზავამ.

*მსაჯი:* ა. კრიჭაშვილი (თბილისი).

მსაჯი ახლო ხედით

# ჰა, ბურთი, ჰა, მოედანი, აი, რა უნდა იყოს მსაჯის პრინციპი

**ლავრენტი რაზმაძე**
**დაიბადა** გორში 1960 13.03.
**წონა** 87 კგ.
**სიმაღლე** 184 სმ.
**ჰყავს** მეუღლე და სამი შვილი — დავითი, გიორგი და ნატალია.

● ***ინტერვიუ ხშირად ჩამოურთმევიათ?***

— დიახ. ჟურნალისტებთან ურთიერთობა ხშირად მიწევდა.

● ***გაიხსენეთ ფეხბურთში გადადგმული პირველი ნაბიჯები.***

— მთელი ცხოვრება ბურთს დავდევ, უფრო სწორად რვა წლის ასაკიდან. თამაში დავიწყე გორში ცხონებული კობა თურაზაშვილის ხელმძღვანელობით. 1981 წლიდან, გორის „დილას“ ღირსებას ვიცავდი 6 წლის განმავლობაში, 2 წელი ვითამაშე „ქართლში“. 1990 წლიდან მსაჯი ვარ.

● ***მსაჯობის დაწყება რამ გადაგაწყვეტინათ?***

— ფეხბურთთან და ფეხბურთელებთან სიახლოვემ. მსაჯობაში ჩემი გზამკვლევები ცნობილი არბიტრები — მალხაზ კობიაშვილი და კარლო ყრუაშვილი იყვნენ. ბატონი კარლოს მეთვალყურეობით სოხუმში გავიარე პირველი მოსამზადებელი კურსები.

● ***სად იმსაჯეთ პირველი მატჩი?***

— 1990 წელს. პირველი ეროვნული ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრა სოხუმში, ცხუმი — სამგურალი, ეს მატჩი ფრედ 1-1 დასრულდა. საერთოდ, ამ 10 წლის განმავლობაში უმაღლეს ლიგაში და თასზე მთავარი მსაჯი 32-ჯერ ვიყავი, ასისტენტობაც, რომ მივუმატოთ სხვადასხვა ლიგებში 800-მდე თამაში მექნება ნამსაჯი.

● ***თქვენ დიპლომირებული სპეციალისტი ბრძანდებით?***

— დიახ. დავამთავრე ჩვენი ფიზკულტურის ინსტიტუტი, მწვრთნელ-პედაგოგის დიპლომი მაქვს.

● ***სპეციალობით, ხომ არ მოღვაწეობდით?***

— 5 წელი ვიყავი ფიზკულტურის მასწავლებელი გორის რაიონის სოფელ ქვემო სობისის 9-წლიან სკოლაში. მყავდა ბავშვთა სამი ჯგუფი 82-87 წლებში დაბადებულები. ახლა მხოლოდ ვმსაჯობ.

● ***მსაჯი რომ ხარ, ხომ არ ნანობთ?***

— რას ბრძანებთ! არა.

● ***საამაყოს რას გაიხსენებდით?***

— ეროვნულ ჩემპიონატს ვემსახურები, ამაზე მეტი საამაყო რა უნდა იყოს.

● ***მსაჯობა რთულია?***

— ძალიან. თითოეული მატჩისთვის, რანგის მიუხედავად, მზად უნდა იყო, როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად.

● ***ინციდენტი თუ გქონიათ?***

— მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში ასეთი ამბავი შემემთხვა, ადგილობრივი „ოჯალეშისა“ და დიდი ჭყონის „მამულის“ მატჩის დროს 88-ე წუთზე ტრიბუნიდან დაუსტვინეს, ბანძელ მცველს კი ეგონა თამაში შეჩერდაო და თავის საჯარიმოში ბურთი ხელში დაიჭირა. მეც პენალტი დავნიშნე. ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ პენალტი ვეღარ დავარტყმევინე ფეხბურთელს და თამაში ჩაიშალა.




● ***როცა გლანძღავენ, არ ბრაზობთ?***

— თუ მსაჯობა გინდა ემოციებს არ უნდა აყვე, სიმშვიდე უნდა შეინარჩუნო, რაც უფრო თავშეკავებული ხარ, ფეხბურთელებიც უფრო გაფასებენ.

● ***თავისუფალ დროს ვისთან ყოფნა გიჯობთ?***

— ოჯახთან.

● ***რაღაც გატაცება ყველა ადამიანს აქვს, თქვენ?***

— მიტაცებს ჭადრაკი. რაიონის პირველობის ვერცხლის მედალოსანი ვარ. ცნობილ მოჭადრაკეს, რაიონის ოთხგზის ჩემპიონს და საქართველოს ჩემპიონატების მონაწილეს, ბიჭიკო ამირიძეს ტოლსწორად ვეთამაშებოდი. ხანდახან ვუგებდი კიდეც.

● ***მოქეიფე თუ ხართ?***

— როგორც ყველა ქართველს, არც მე ვარ გამონაკლისი, მაგრამ სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე ზომიერების ფარგლებს არ ვცდები.

● ***კოლეგებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?***

— მათთან მეგობრული დამოკიდებულება მაქვს. სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის დღევანდელ უფროსთან ანატოლი მილჩენკოსთან ერთად მიმსაჯია კიდეც, მინდა ხაზი გავუსვა იმ საქმიან და მეგობრულ ურთიერთობას, რაც მაკავშირებს ცნობილ არბიტრებთან მალხაზ კობიაშვილთან, რონალდ გარნოვსკისთან, ტრისტან ნიშნიანიძესთან, კარლო ყრუაშვილთან, უშანგი ფურცელაძესთან, დღევანდელ ახალგაზრდა კოლეგებთან.

● ***ქრთამთან თუ გქონიათ საქმე?***

— არა. არასოდეს. ჩემს მიმართ ასეთი ინიციატივა არავის გამოუჩენია.

● ***როგორ შეაფასებდით მსაჯობის დღევანდელ დონეს?***

— მომავალს იმედით შევყურებ. მოდიან ახალგაზრდა პერსპექტიული მსაჯები, მონდომებულები და მომზადებულები. დონე ბევრად ამაღლდა. უშეცდომო მსაჯი არ არსებობს. მთავარია, მიკერძოება არ იყოს. ჰა, ბურთი, ჰა, მოედანი, — ეს უნდა იყოს ყველა მსაჯის პრინციპი.

● ***საუკეთესო ფეხბურთელად ვინ მიგაჩნიათ?***

— ბეკენბაუერი, ფაკეტი, კრუიფი, ქართველებიდან — ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, დარასელია, გუცაევი. დღეს მოთამაშე ფეხბურთელებიდან ტორპედოელ დავით ჯანაშიას და გორელ ხვიჩა გაგნიძეს გამოვარჩევდი, ლეგიონერებიდან კახი კალაძეს და თემურ ქეცბაიას.

● ***ფიფას ასისტენტი როდის გახდით?***

— ეს წოდება 1997 წელს მივიღე, მაგრამ უცხოეთში მსაჯობა, სამწუხაროდ, არ მომიწია. როგორც ასისტენტი ათჯერ ვიყავი დასახელებული საუკეთესო მსაჯთა ათეულში.

● ***საქართველოში სად გირჩევნიათ იმსაჯოთ?***

— ფოთში, საოცრად კეთილმოსურნე და ერუდირებული გულშემატკივრები ჰყავს „კოლხეთს“, სამტრედიაშიც კარგი მაყურებელია.

● ***თილისმას თუ ატარებთ?***

— არა, თამაშზე როცა გავდივარ, პირჯვარს ვიწერ.

● ***რასისურვებდით?***

— საერთოდ, სიახლეების მომხრე ვარ და სფფ-ს ხელმძღვანელებსაც ეს სურთ, მეც მათ გვერდით ვარ. მინდა, რომ ჩემი მსაჯობით ქართული ფეხბურთის წინსვლაში გარკვეული წვლილი მეც შევიტანო.

ესაუბრა
**მიხეილ საბახტარიშვილი**

# GT მობილურს 35-ე სკოლის კარგად ესმის

თბილისობის დღესასწაულმა 35-ე საფეხბურთო სკოლასა და GT მობილურს შორის თანამშრომლობას ჩაუყარა საფუძველი, რისი დასტურიც ახლახან დასრულებული 1989-90 წლებში დაბადებული ბავშვების GT მობილურის თასის გათამაშება გახლდათ. 12 გუნდიდან შვიდი დედაქალაქისა იყო, დანარჩენები გორს, ქუთაისს და ლანჩხუთს წარმოადგენდნენ. ტურნირს სპონსორობა გაუწია GT მობილურმა და მონაწილენი მაისურებით, ქუდებით, თასებით და სხვადასხვა სუვენირებით მოამარაგა. ტურნირის ორგანიზაციული მხარე 35-ე სკოლის უფროსმა მწვრთნელმა გოჩა ავსაჯანიშვილმა მოაგვარა. სკოლის დირექტორის ანდრო თურქიას განმარტებით, GT მობილურთან ურთიერთობა ამ ტურნირით არ შემოიფარგლება და ერთობლივი ღონისძიება საშობაო არდადეგებისთვისაც იგეგმება. პატარებს სადღესასწაულოდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც შეეწია და მოასპარეზეთ ბურთები, ფორმები და წვივსაფრები დაურიგა. 35-ე სკოლის, GT მობილურისა და სფფ-ს ერთობლივი ძალისხმევით თბილისობისადმი მიძღვნილ ამ საფეხბურთო ტურნირზე პირველი ადგილი და თასი „საბურთალომ“ (მწვრთნელი მალხაზ რაზმაძე) მოიპოვა. საბურთალოელებმა მასპინძლები 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდი (მწვრთნელები გიორგი ჯაკობია და ბესარიონ ხინთიბიძე) 4-0 დაამარცხეს. მესამე ადგილი ლანჩხუთელებმა (მწვრთნელი კახა გუჯაბიძე) დაიკავეს, მათ გორელებს (მწვრთნელი ლავრენტი ბოლოთაშვილი, დირექტორი გია რევაზიშვილი) 1-0 სძლიეს. წარჩინებულ ფეხბურთელებს სამახსოვრო პრიზები გადასცეს სკოლის დირექტორმა ანდრო თურქიამ, ვეტერანმა მწვრთნელებმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გოგი მამალაძემ და შიო ბოკუჩავამ, GT მობილურის წარმომადგენელმა გეგა ფალავანდიშვილმა. ტურნირის ბომბარდირი გახდა ბექა ტუღუში (35-ე სკოლა), საუკეთესო მცველი — გუჯა ავსაჯანიშვილი (35-ე სკოლა), საუკეთესო მეკარე — მიშა ახმედოვი (35-ე სკოლა), თავდამსხმელი — ბექა თამაზაშვილი, ნახევარმცველი — ლევან ჟღენტი (საბურთალო), პერსპექტიული ფეხბურთელის პრიზი მიიღო — ირაკლი ხურციძემ (ქუთაისი). ყველაზე პატარა მონაწილის პრიზი გადაეცა ლანჩხუთელ ავთო იმნაიშვილს.

**საბა ლომინაძე**

*სურათებზე: მარცხნივ — ტურნირში გამარჯვებული (შავ მაისურებში) და მეორე პრიზიორი — ერთობლივი ფოტო; მარჯვნივ — აჯილდოებენ ტურნირის ბომბარდირს ბექა ტუღუშს.*





ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები

## რეგიონული ლიგა
### XI ტური

ცენტრალური ზონა

ვალენსია 83 – დინამო2 (თბ) 1-4
ვიტ ჯორჯია2 – ამირანი 0-1
მრეტები – ოლიმპიკი 0-1
ვარძია – დილა-2 0-0
ს.ა. იბერია – მესხეთი 4-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამირანი | 5 | 5 | 0 | 0 | 14-7 | 15 |
| დინამო2(თბ) | 6 | 3 | 1 | 2 | 15-9 | 10 |
| ოლიმპიკი | 5 | 3 | 0 | 2 | 10-5 | 9 |
| ს.ა. იბერია | 5 | 2 | 3 | 0 | 12-5 | 9 |
| ვიტჯორჯია2 | 6 | 2 | 2 | 2 | 14-7 | 8 |
| ვალენსია | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 |
| მრეტები | 6 | 2 | 1 | 3 | 3-6 | 7 |
| მესხეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 3-11 | 7 |
| დილა2 | 6 | 0 | 4 | 2 | 6-13 | 4 |
| საბურთალო | 5 | 0 | 2 | 3 | 4-16 | 2 |
| ვარძია | 5 | 0 | 2 | 3 | 0-4 | 2 |

აღმოსავლეთი ზონა

ალაზანი – კავკასიონი 8-1
ჭაბუკიანი – აკადემია 2-1
ზოოვეტი – ლოკომოტ.-3 1-1
ცხუმი – თბილისი-2
*(ცხუმმა სტადიონი ვერ მოამზადა)*
სამგორი – ს.კ.ა.
*(ს.კ.ა. არ გამოცხადდა)*
შენიშვნა: ცხუმისა და ს.კ.ა.-ს საკითხს შესაბამისი კომიტეტი განიხილავს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტ.-3 | 5 | 4 | 1 | 0 | 11-2 | 13 |
| აკადემია | 6 | 3 | 2 | 1 | 6-4 | 11 |
| ჭაბუკიანი | 4 | 3 | 0 | 1 | 11-4 | 9 |
| ალაზანი | 6 | 3 | 0 | 3 | 15-13 | 9 |
| ხალიბი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-4 | 7 |
| ცხუმი | 5 | 2 | 0 | 3 | 3-4 | 6 |
| ზოოვეტი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-7 | 5 |
| თბილისი2 | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| სამგორი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| ს.კ.ა. | 4 | 1 | 0 | 3 | 6-10 | 3 |
| კავკასიონი | 5 | 0 | 0 | 5 | 3-17 | 0 |

# ცაში გაჭრილი მხტუნავი ზლატკო

***თუ მოგეცათ საშუალება დაესწროთ სლოვენიის საფეხბურთო ეროვნული ნაკრების მატჩებს, უთუოდ ყურში მოგხვდებათ ამ გუნდის გულშემატკივართა შეძახილი: „ვინც არ ხტუნაობს, სლოვენიელი არაა!“ როდესაც აკვირდები ზლატკო ზახოვიჩის (სურათზე) საფეხბურთო კარიერას, იგივე ასოციაცია გებადება — იგი ხტუნვა-ხტუნვით მიიწევს მაღლა საფეხბურთო ოლიმპისაკენ.***



ამ ზაფხულს, ევრო-2000-ზე, ზლატკო ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა იყო — მაღალი სისწრაფე, გასაოცარი შედეგიანობა და რაოდენ საკვირველია, იმავდროულად ფეხბურთელის გულში ფსიქოლოგიური დრამა მწიფდებოდა, რომელსაც საბოლოოდ შეეძლო შეეწყვიტა მისი კარიერა. საქმე იმაშია, რომ ორი წლით წინათ ზახოვიჩმა (იგი მაშინ პორტუგალიის „პორტუში“ გამოდიოდა) ისე კარგად ითამაშა ჩემპიონთა ლიგაში, ერთბაშად ორმა ცნობილმა ევროპულმა კლუბმა — ესპანეთის „ვალენსიამ“ და საბერძნეთის „ოლიმპიაკოსმა“ დაადგა თვალი. ელადას ემისრებმა „პორტუს“ მეტი შეაძლიეს (10 მილიონი დოლარი) და, ცხადია, ფეხბურთელი მათი ნადავლი გახდა.

როდესაც ზლატკოს თვითმფრინავი ათენის აეროპორტში დაეშვა, სლოვენიელს „ოლიმპიაკოსის“ ათი ათასზე მეტი თავგადაკლული გულშემატკივარი და ასამდე ჟურნალისტი შემოეხვია, მერე ხელში აიყვანეს და ასე ატარეს ავტომანქანამდე. ზახოვიჩი ასე იხსენებს ამ დროს: „როცა გულშემატკივართა სითბო შევიგრძენი, მეგონა საბერძნეთში სხვა წვრილმანებზე არ ვიფიქრებდი, მხოლოდ ფეხბურთისათვის გავირჯებოდი.“ მაგრამ ხომ გაგიგიათ — „კაცი ბჭობდაო...“ ერთი თვე არ იყო გასული ფეხბურთელს პრობლემები შეექმნა მწვრთნელთან ურთიერთობაში. არადა, სწორედ ბაევიჩის დაჟინებული მოთხოვნით განხორციელდა ზახოვიჩის ტრანსფერი! დიდი ეჭვიანი ყოფილა ეს მწვრთნელი. მან ვერ აიტანა ფეხბურთელის ასეთი პოპულარობა გულშემატკივრებში და ძალიან განიცდიდა ამ ამბავს. თან წარმოგიდგენიათ, შეგირდს მასზე მეტ ხელფასს უხდიდნენ. ბაევიჩმა შური იმით იძია, რომ ზლატკო სათადარიგოთა სკამს „მიაჯაჭვა“. ბოლოს და ბოლოს, ვერც ფეხბურთელმა მოითმინა, საქვეყნოდ შეურაცხყო მწვრთნელს. კონფლიქტი „ოლიმპიაკოსის“ ბოსებმა გაარჩიეს: ბაევიჩი სამსახურიდან დაითხოვეს, ხოლო ზახოვიჩს დისკვალიფიკაცია გამოუტანეს. მიუხედავად ამისა, ფეხბურთელმა შეძლო დაერწმუნებინა კლუბის მესვეურები და იგი დროებით გაემგზავრა სამშობლოში, სადაც სლოვენიის ნაკრების თავკაცის სრეჩკო კატანეცის ხელმძღვანელობით ინდივიდუალური პროგრამით მოემზადა ევროპის ჩემპიონატისათვის. თუ როგორ ბრწყინვალედ ითამაშა ზლატკომ ამ შეჯიბრებაში, გულშემატკივარს ახსოვს, მით უმეტეს, მას საქართველოს ნაკრების წინაალმდეგაც მოუწია ასპარეზობა და ჩვენი მაყურებელი, ალბათ, თავად დარწმუნდა ფორვარდის უბადლო ოსტატობაში.

როდესაც ნაკრები ევრო-2000-დან დაბრუნდა, ლიუბლიანას „ბრნიკის“ აეროპორტშივე ზახოვიჩი ეროვნულ გმირად აკურთხეს, ხოლო გულშემატკივართა ზოგიერთ ტრანსპარანტზე ფეხბურთელს იმასაც კი სთხოვდნენ, სლოვენიის პრეზიდენტის პოსტზე წამოაყენე საკუთარი კანდიდატურაო!

ამასობაში, მსოფლიოს უდიდესმა კლუბებმა მაცდუნებელი წინადადებებით მიმართეს ფორვარდს. განსაკუთრებით ესპანეთის „ვალენსია“ აქტიურობდა. მისმა მენეჯერებმა შეიტყვეს, რომ ზლატკოს ზუსტად ფეხბურთის ისეთი სტილი ეხატება გულზე, როგორსაც „ვალენსია“ ქადაგებს და, ცხადია, მოთამაშის დამუშავება დაიწყეს. ბოლოს და ბოლოს საწადელს მიაღწიეს და ზახოვიჩი დაიყოლიეს. მერე ყველაფერი მოგვარდა: „ვალენსიამ“ და ფეხბურთელმა „ოლიმპიაკოსს“ მიმართეს თხოვნით ტრანსფერი განვახორციელოთო. აბა, ბერძნების ამბავი არ იცით? დიდი ფასი დაადეს ზახოვიჩს, ბოლოს მხარეები ისევ იმ 10 მილიონ დოლარზე შეთანხმდნენ, რა თანხაც ადრე „ოლიმპიაკოსმა“ „პორტუს“ გადაუხადა. ასე გახდა სლოვენიელი ზახოვიჩი „ვალენსიას“ საკუთრება და განვლილმა ორმა თვემ ყველას დაანახა, ესპანელები ტყუილად არ გარჯილან.

მოამზადა
**ჯემალ ჭიკაშვილმა**

# ფეხბურთის ელეგანტური გენიოსები



*წერილი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, დაახლოებით ამ 6 თვის წინათ დაიწერა და რამდენიმე რედაქცია მოიარა. დღის სინათლე კი არ ეღირსა იმის მომიზეზებით, რომ ქართულ ფეხბურთს ჯერ არაფრისთვის მიუღწევია, რომ პიროვნებების წინასწარ შექება სიკეთეს არ მოიტანდა. ინტუიციაც არავინ არაფრად ჩააგდო. კორნელი კეკელიძეს უთქვამს: „ნეგატიური მიდგომით საქმე არ კეთდება, საქმისადმი პოზიტიურ მიდგომას მოაქვს სასიკეთო შედეგები". ჩემი მიზანიც ეს არის.*

*დაე, მკითხველმაც განსაჯოს.*

**ავტორი**

არიან ადამიანები, რომლებიც მთელი არსებით საყვარელ საქმეს ემსახურებიან, უდიდეს წარმატებებს აღწევენ პროფესიულ სარბიელზე, ნიჭიერებითა და მონდომებით უამრავ ადამიანს გვრიან სიამოვნებას. სასტიკ და უსამართლო გათელვასაც რაინდულად იტანენ და კვლავ უხმაუროდ აგრძელებენ საყვარელ საქმეს.

პელე და სოკრატესი, ფაკეტი და ანტონიონი, ბეკენბაუერი და ბრაიტნერი, კრუიფი და გულიტი. აი, არასრული ჩამონათვალი იმათი, რომელთა სპორტული ცხოვრება სათაურში გამოთქმულ ეპითეტს მიესადაგება. თამაშის ელეგანტური მანერა და გენიალური საფეხბურთო აზროვნება — ალბათ ამ ორი კომპონენტის ჰარმონიული შერწყმა ქმნიდა ფეხბურთის ელეგანტურ გენიოსებს ყველა დროსა თუ ეპოქაში. სჭირდება თუ არა ელეგანტურობა გენიოსს? ალბათ არ სჭირდება იმას, ვინც ჩაკეტილ სივრცეში ქმნის რაღაც შესანიშნავს და მილიონობით ადამიანი თვალს ვერ ადევნებს შედევრის შექმნის პროცესს, ისიც გასათვალისწინებელია, რომ წინასწარ ვერავინ განჭვრეტს ქმნილების გენიალურობას. სპორტში და, კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში, ლამაზი საფეხბურთო სანახაობა ის შედევრია, რომელიც მილიონობით ადამიანის თანდასწრებით იქმნება და ფეხბურთის გენიოსებმაც ამ უზარმაზარი აუდიტორიის თვალწინ უნდა დაამტკიცონ საკუთარი უნიკალურობა, ხოლო როდესაც ყოველივე ეს ელეგანტური მანერით სრულდება, სწორედ მაშინ შევიგრძნობთ მთელი სიდიადით იმ საოცარ ხიბლს, ფეხბურთი რომ ანიჭებს მილიონებს მთელ პლანეტაზე.

იყვნენ თუ არა ჩვენში ამ დონის შემსრულებლები? რა თქმა უნდა, იყვნენ და იმათ შორის, ვინც ჩვენს თაობას კარგად ახსოვს, უეჭველად მიეკუთვნებიან: საშა ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი. ამჯერად, სწორედ ამ უკანასკნელზე მსურს ყურადღების გამახვილება, ვინაიდან დათო დღესაც ფეხბურთით ცხოვრობს და ერთ-ერთი იმათგანია, ვის მოღვაწეობაზეც ბევრად არის დამოკიდებული ქართული ფეხბურთის აწმყო და მომავალი. მწამს რა მისი უდიდესი საფეხბურთო და ცხოვრებისეული ინტელექტისა, დარწმუნებული ვარ, რომ არც ზომიერი შექება გაუწევს დათვურ სამსახურს და არც სამართლიანი საყვედური გაანაწყენებს, თუმცა კი სასაყვედურო მის კარიერაში, ჩემი აზრით, ბევრი არაფერია.

მისი საფეხბურთო მოღვაწეობა ორ ეტაპად უნდა დაიყოს: 1. ყიფიანი — ფეხბურთელი, 2. ყიფიანი — მწვრთნელი. ვინაიდან ფეხბურთელობისას მოპოვებული წარმატებები გაცილებით შთამბეჭდავია, ვიდრე მწვრთნელობის პერიოდში, უპრიანი იქნება შევეხოთ ჯერ პირველ, ხოლო შემდეგ მეორე ნაწილს მისი საფეხბურთო ცხოვრებისას.

მრავალ ფეხბურთელს ჰქონია პროფესიული ბენეფისი. მცირე ნაწილს ბევრი, უმრავლესობას — თითზე ჩამოსათვლელი, იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ისე ჩაამთავრეს კარიერა, ეს ბედნიერება არ განუცდიათ. თუმცა ყოველივე ეს, მათ შრომას და მონდომებას, დამსახურებას ფეხბურთისა და ხალხის წინაშე, არავითარ შემთხვევაში არ აკნინებს და არც აუფასურებს.

1976-81 წლებში ჩატარებული მრავალი შეხვედრა შეიძლება ჩაითვალოს დათოს ბენეფისად: მოსკოვში მოპოვებული თასები, განსაკუთრებით „არარატთან", თუ ლონდონში დადგმული სპექტაკლი „ვესტჰემთან", თბილისში „ლივერპულთან" თუ როტერდამში თუნდაც წაგებული მატჩი „ფეიენოორდთან". ბოლოს კი, ევროპის თასის მოპოვებით ქართული ფეხბურთისათვის გვირგვინის დადგმა 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფში. მის მიერ გაშარჟებული ფაკეტიც კარგად გვახსოვს „სან-სიროზე" და გაბრუებული კრაუზეც „რაინშტადიონზე". ეს ყოველივე იყო. მაგრამ დაუვიწყარია ერთი რიგითი კალენდარული შეხვედრა მაშინდელი სსრკ-ს პირველობაზე ერევნის „არარატთან", რომელსაც ასევე ვაღიარებ მის ბენეფისად. „დინამომ" რამდენიმე თამაში დათოს გარეშე ჩაატარა და რატომღაც „დინამოზე" გამართულ იმ შეხვედრაში გამოჩნდა. იგი მოედანზე, პირადად ჩემთვის გასაგები მიზეზების გამო, გამოვიდა, გაილაღა და გაიბრწყინა. ამ სიტყვების საუკეთესო გაგებით. მთელი შეხვედრის მანძილზე მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ „არარატს" მოწინააღმდეგედ მხოლოდ ყიფიანი ჰყავდა, იმ თამაშში დათოს მიერ შესრულებული შორი, მისთვის დამახასიათებელი, უზუსტესი გადაცემების რიცხვმა ალბათ, რამდენიმე ათეულს გადააჭარბა, თუ ვინმეს აღარ ახსოვს ის შეხვედრა, კუთხურიდან გათამაშებულ პირველ გოლს შევახსენებ დათოს და ვოვა გუცაევის შესრულებით. თუ ტელევიზიას გააჩნია მატჩის ჩანაწერი, დარწმუნებული ვარ, მისი ჩვენება დიდად წაადგება ამ სტილის ფეხბურთელების აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეს.

იმ წლებში არ მახსენდება დათოს უპასუხისმგებლო და უგულო დამოკიდებულება ფეხბურთისადმი. მიუხედავად იმისა, გამოუვიდოდა მინდორზე თუ არა. ბუნებრივია, „ელეგანტურ გენიოსებსაც" ახასიათებთ ცალკეული ჩავარდნა.

მისი ფეხბურთიდან წასვლა, ვფიქრობ, რამდენიმე მიზეზმა განაპირობა: უმთავრესი იყო მძიმე ტრავმა, რომელიც მას ანხელმა მიაყენა მადრიდში, „რეალთან" გამართულ მატჩში. სარეაბილიტაციო პერიოდის გავლის შემდეგ თითქოს ყველაფერი მოწესრიგდა, მაგრამ „სტარდარტთან" თამაშმა ყველა და უპირველესად თვითონ დათო დაარწმუნა, რომ ძველებურად ვეღარ გაახარებდა თაყვანისმცემლებს. მეორე მიზეზი გახლდათ ის გულისტკენა, რომელიც ხშირად მიუყენებიათ მისთვის ნაკრების შოვინისტ მწვრთნელებს. ბოლოს ესპანეთის ჩემპიონატზე არწაყვანით ატკინეს გული, ობიექტურად კი ბევრ „ნაკრებოსანს" იმ სარგებლობის მეასედის მოტანა არ შეეძლო, რასაც დათო მოუტანდა გუნდს 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. ამ ორი მიზეზის გამო გადაწყვიტა მან დაეთმო ის, რაც ყველაზე მეტად უყვარდა ცხოვრებაში — გადამწყვეტ მომენტში საკუთარ თავზე გაიმარჯვა. ამას მხოლოდ უდიდესი ნებისყოფის პიროვნებები ახერხებენ. ერთი რამ ცალსახად უნდა ითქვას: ფეხმონატეხი და გულნატკენი დათო ძველებურად ვეღარ გაახარებდა ქომაგებს.

ხშირად დამისვამს კითხვა საკუთარი თავისთვის: კიდევ რის მიღწევა შეეძლო დათოს? რა დაარწმუნებდა მის მიმართ სკეპტიკურად (ასეთებიც არიან, სამწუხაროდ) განწყობილებს მისი, როგორც ფეხბურთელის, გენიალურობაში? რის თქმასაც ახლა ვაპირებ, ეს მხოლოდ ვარაუდია, გნებავთ, ჰიპოთეზა. ეს პირადად ჩემი აზრი გახლავთ, რომელსაც არავის ვახვევ თავს. დაე, ის დარჩეს მხოლოდ ვარაუდისა და სურვილის დონეზე.

1981 წელს დავით ყიფიანი უთუოდ იმსახურებდა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს. მითუმეტეს, რომ მაშინდელი ევროპელი ვარსკვლავები იმ წელს განსაკუთრებულად არ კაშკაშებდნენ. დათო მათ ფონზე გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა. ამის დასტურად ისიც იკმარებს, რომ „ფრანსფუტბოლის" მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, იმ წელს ორი დინამოელი მოხვდა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელთა ათეულში — საშა ჩივაძე და რამაზ შენგელია, ალბათ, არ ეწყინებათ, თუ ვიტყვი, რომ დათო გუნდის სული და გული იყო, მადრიდში მიღებულმა ტრავმამ არ მისცა საშუალება ჩაემთავრებინა სეზონი და საჭირო ქულებიც მიეღო გამოკითხვაში.

აი ასეთი იყო დათო ყიფიანი ფეხბურთელი, ელეგანტური და უეჭველად გენიალური. თუმცა, უიღბლობა იყო მისი ცხოვრების ხშირი თანამგზავრი. ფეხბურთთან ხელმეორედ შეხვედრა სულ მალე მოხდა. იგი დაბრუნდა გუნდში მთავარ მწვრთნელად, ალბათ, შეცდა, ვინაიდან ძნელია უხელმძღვანელო ყოფილ თანაგუნდელებს და მეგობრებს, როგორ უნდა დაუმორჩილო შენს ნება-სურვილს ის ადამიანები, რომლებთან ერთად მრავალი სიხარული და სიამოვნება განგიცდია საფეხბურთო მოედანსა თუ მის გარეთ ყოველდღიურ ცხოვრებაში, მით უფრო, როცა არ გაქვს სამწვრთნელო განათლება და პრაქტიკული გამოცდილება, ალბათ, ამ მიზეზების გამო ვერ მიაღწია მან წარმატებას მწვრთნელობის პირველ ეტაპზე.

90-იან წლებში საქართველოში მომხდარი ცვლილებები ფეხბურთსაც შეეხო, დამოუკიდებელი გასვლა საერთაშორისო სარბიელზე, ახალი საფეხბურთო მეურნეობის შექმნა, ახალი სახელები ქართულ ფეხბურთში, უამრავი პრობლემა, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებმა თავისთავად წამოატივტივა. ყველაფერი ეს ერთ თუ ორ წელიწადში ვერ მოგვარდებოდა. ამ ვითარებაში დათოს, როგორც მწვრთნელის მიღწევები, უმნიშვნელოა იმ წარმატების ფონზე, როგორიც ჰქონდა ფეხბურთელ დათო ყიფიანს. მაგრამ მაინც იყო ცალკეული წარმატებები სამწვრთნელო საქმიანობაში, რაც იმის იმედს გვისახავს, რომ დავით ყიფიანი — მწვრთნელად უნდა დადგეს, თუკი ექნება სათანადო მხარდაჭერა ფეხბურთს ყველა საკითხში და ყველა დონეზე.

ამ მიმართებით რომელი ეპიზოდებია საყურადღებო?

1. მოსკოვში „ტორპედოსთან" უეფას თასზე ჩატარებული შეხვედრა და მისი მოგება სველ და ატალახებულ მოედანზე, ეს წარმატება მთლიანად მწვრთნელის მიერ სწორად გათვლილმა სათამაშო ტაქტიკამ განაპირობა. ზოგადად ფეხბურთისათვის ის მოგება თითქოს არაფერს წყვეტდა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ იმ გამარჯვებით „დინამო" გათამაშების 32 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა და თუ გავითვალისწინებთ რა შემადგენლობით და რა რესურსებით, ის შედეგი მიღწევად უნდა ჩაითვალოს; 2. დავით ყიფიანის და რევაზ ძოძუაშვილის სანაკრებო მოღვაწეობა, პირველი ამხანაგური შეხვედრა სომხეთთან და 7:0! თითქოს არაფერი, მაგრამ იმავე დროს ბევრისმთქმელი შედეგი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ორი წაგებული მატჩის შემდეგ — ინგლისთან და იტალიასთან, ფაქტიურად, უშანსოდ დარჩენა და მაინც გააზრებული ფეხბურთი და ჯგუფში მეოთხე ადგილის მოპოვება. თბილისური მატჩი პოლონეთთან და სრულფასოვანი რევანში 3:0! გუნდთან, რომელსაც ტრადიციულად მსოფლიო გუნდად მიიჩნევენ სპეციალისტები. იტალიასთან ღირსეული ფრეც წარმატებულად უნდა ჩათვლილიყო. რას იმსახურებდა მაშინ ეს ორი პიროვნება? მადლობას და შექებას, გუნდმა იპოვა საკუთარი ხელწერა, შეიკრა, აშკარა იყო პროგრესი, მაგრამ ვილაც ასე არ ფიქრობდა. უსამართლობის და უმადურობის ზეობა, და... დათო და რეზო გუნდიდან წავიდნენ.

თუ როგორ გააგრძელა ამ ორმა „თურაშაულმა" სამწვრთნელო საქმიანობა, მათ მიერ მოპოვებული წარმატებების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ხოლო ქართული ფეხბურთის „მამებმა" ტყუში „პანტის" ძებნით რა სიკეთეც მოგვიტანეს, ყველამ კარგად დავინახეთ. ნამდვილად არ ჰქონია შინაურ მღვდელს შენდობა ჩვენში.

საბედნიეროდ, ამჟამად ორივე პროფესიონალი კვლავ საყვარელ საქმეს ემსახურება. ბევრს სჯერა, რომ წარმატების მიღწევა შესაძლებელია. და არცთუ უსაფუძვლოა ეს იმედი. რა თქმა უნდა, ხელშეწყობით და არა ხელისშეშლით. იბადებიან ახალი ტალანტები ჩვენში. ასე იქნება შემდეგშიც. მე კი ერთი სათხოვარი მექნება მათთან: ყველა საშუალება გამოიყენონ მიზნის მისაღწევად, ნურც თავს გასწირავენ ბრბოს საჯიჯგნად და ნურც გულშემატკივარს გაიმეტებენ ანალოგიური ტანჯვისათვის. მიუხედავად იმისა, რომ პირადი ნაცნობობა არც ერთთან არ მაკავშირებს, უმორჩილესად ვთხოვ მათ, უშველონ ქართულ ფეხბურთს, გაახარონ გულდაწყვეტილი გულშემატკივარი, ჯერ სხამ შველა შეიძლება, ვიდრე ქართული ფეხბურთი შოკოლადივით ხელში არ ჩაგვდნობია.

ღრმად ვარ დარწმუნებული ურთიერთთანადგომით და არა ამბიციურობით დათო და რეზო მრავალ სასიკეთო საქმეს გააკეთებენ და გაცილებით მეტ სიხარულს მოუტანენ ქართველ გულშემატკივარს, ვიდრე დღემდე მოუტანიათ. მოდით, ყველამ ერთად გავამხნევოთ და წარმატება ვუსურვოთ მათ, ამ მეტად რთულ, მაგრამ მამულიშვილურ საქმეში.

**მერაბ ხვიჩია,**
*თბილისი*



ასე იწყებოდა დიდი ფეხბურთის გზა. დათო ყიფიანი — მარცხნიდან მესამე პირველ რიგში

## ჩემპიონთა ლიგა V ტური

## ყველაფერი ერთ კვირაში გაირკვევა

*მომავალ კვირას ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის დასკვნითი ეტაპია.*

### A ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რეალი** | **5** | **4** | **1** | **0** | **15-7** | **13** |
| **სპარტაკი** | **5** | **3** | **0** | **2** | **8-3** | **9** |
| ბაიერი | 5 | 2 | 0 | 3 | 9-12 | 6 |
| სპორტინგი | 5 | 0 | 1 | 4 | 5-15 | 1 |

*7 ნოემბერი.* სპარტაკი — რეალი, სპორტინგი — ბაიერი

### B ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **არსენალი** | **5** | **4** | **1** | **0** | **11-5** | **13** |
| **დაციო** | **5** | **3** | **1** | **1** | **12-4** | **10** |
| შახტარი | 5 | 1 | 0 | 4 | 7-15 | 3 |
| სპარტა | 5 | 1 | 0 | 4 | 6-12 | 3 |

*7 ნოემბერი.* შახტარი — არსენალი, სპარტა — ლაციო.

### C ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ვალენსია** | **5** | **4** | **0** | **1** | **6-3** | **12** |
| **ოლიმპიაკ.** | **5** | **3** | **0** | **2** | **6-4** | **9** |
| ლიონი | 5 | 2 | 0 | 3 | 7-6 | 6 |
| ჰერენვენი | 5 | 1 | 0 | 4 | 2-8 | 3 |

*7 ნოემბერი.* ლიონი — ოლიმპიაკოსი, ვალენსია — ჰერენვენი.

### D ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **შტურმი** | **5** | **3** | **0** | **2** | **7-10** | **9** |
| **რეინჯერსი** | **5** | **2** | **1** | **2** | **8-11** | **7** |
| გალათასარაი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-5 | 7 |
| მონაკო | 5 | 2 | 0 | 3 | 11-8 | 6 |

*7 ნოემბერი.* გალათასარაი — შტურმი, რეინჯერსი — მონაკო.

### E ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დეპორტივო** | **5** | **2** | **3** | **0** | **5-3** | **9** |
| **იუვენტუსი** | **5** | **1** | **3** | **1** | **8-9** | **6** |
| პანათინაიკოსი | 5 | 1 | 2 | 2 | 3-4 | 5 |
| ჰამბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 8-8 | 5 |

*8 ნოემბერი.* ჰამბურგი — დეპორტივო, პანათინაიკოსი — იუვენტუსი.

### F ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბაიერნი** | **5** | **3** | **1** | **1** | **8-3** | **10** |
| **პსჟ** | **5** | **3** | **0** | **2** | **13-8** | **9** |
| რუსენბორგი | 5 | 2 | 0 | 3 | 12-14 | 6 |
| ჰელსინგბორ. | 5 | 1 | 1 | 3 | 5-13 | 4 |

*8 ნოემბერი.* რუსენბორგი — ბაიერნი, ჰელსინგბორგი — პსჟ

### G ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ანდერლეხ.** | **5** | **3** | **0** | **2** | **8-12** | **9** |
| **ეინდჰოვენი** | **5** | **3** | **0** | **2** | **7-6** | **9** |
| მანჩესტერი | 5 | 2 | 1 | 2 | 10-7 | 7 |
| დინამო | 5 | 1 | 1 | 3 | 7-7 | 4 |

*8 ნოემბერი.* ეინდჰოვენი — ანდერლეხტი, მანჩესტერი — დინამო.

### H ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მილანი** | **5** | **3** | **1** | **1** | **11-5** | **10** |
| **ლიდსი** | **5** | **2** | **2** | **1** | **8-5** | **8** |
| ბარსელონა | 5 | 1 | 2 | 2 | 8-9 | 5 |
| ბეშიქთაში | 5 | 1 | 1 | 3 | 4-12 | 4 |

*8 ნოემბერი.* მილანი — ლიდსი, ბარსელონა — ბეშიქთაში.

# საზღვარგარეთის ფეხბურთი: ჩემპიონები, მატჩები, ლიდერები

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი. VII ტური

ნუმანსია – დეპორტივო 1-2
ვილიარეალი – ბილბაო 0-0
მალიორკა – ბარსელონა 2-0
სარაგოსა – მალაგა 1-1
ლას პალმასი – რასინგი 2-1
რაიო – ალავესი 0-1
ესპანიოლი – ოვიედო 2-0
სელტა – ვალიადოლიდი 2-1
სოსიედადი – რეალი 1-4
ოსასუნა – ვალენსია 1-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 7 | 5 | 1 | 1 | 17-5 | 16 |
| რეალი | 7 | 4 | 2 | 1 | 16-8 | 14 |
| ალავესი | 7 | 4 | 2 | 1 | 10-4 | 14 |
| დეპორტივო | 7 | 4 | 2 | 1 | 11-6 | 14 |
| სელტა | 7 | 4 | 1 | 2 | 11-9 | 13 |
| რაიო | 7 | 3 | 3 | 1 | 14-5 | 12 |
| ბარსელონა | 7 | 4 | 0 | 3 | 14-9 | 12 |
| ლას პალმასი | 7 | 3 | 2 | 2 | 11-13 | 11 |
| ვილიარეალი | 7 | 2 | 3 | 2 | 5-8 | 9 |
| ვალიადოლ. | 7 | 1 | 5 | 1 | 6-5 | 8 |
| ოვიედო | 7 | 2 | 2 | 3 | 7-8 | 8 |
| მალაგა | 7 | 2 | 2 | 3 | 10-12 | 8 |
| მალიორკა | 7 | 2 | 2 | 3 | 7-10 | 8 |
| ბილბაო | 7 | 2 | 2 | 3 | 6-11 | 8 |
| ესპანიოლი | 7 | 2 | 1 | 4 | 6-7 | 7 |
| ნუმანსია | 7 | 2 | 1 | 4 | 7-12 | 7 |
| ოსასუნა | 7 | 1 | 3 | 3 | 6-10 | 6 |
| რასინგი | 7 | 1 | 2 | 4 | 9-14 | 5 |
| სოსიედადი | 7 | 1 | 2 | 4 | 8-22 | 5 |
| სარაგოსა | 7 | 0 | 4 | 3 | 5-8 | 4 |

## შოტლანდია
### XIII ტური

დანდი იუნაიტ. – ჰიბერნიანი 0-1
დანფერმლაინი – დანდი 1-0
ჰართსი – სტ. ჯონსტონი 0-3
რეინჯერსი – კილმარნოკი 0-3
სტ. მირენი – აბერდინი 2-0
მოზერველი – სელტიკი 3-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 13 | 11 | 2 | 0 | 31-12 | 35 |
| ჰიბერნიანი | 13 | 10 | 2 | 1 | 27-7 | 32 |
| კილმარნოკი | 13 | 8 | 2 | 3 | 19-12 | 26 |
| რეინჯერსი | 12 | 7 | 1 | 4 | 22-18 | 22 |
| სტ.ჯონსტონი | 13 | 4 | 5 | 4 | 14-18 | 17 |
| დანდი | 13 | 4 | 4 | 5 | 15-13 | 16 |
| ჰართსი | 13 | 4 | 4 | 5 | 19-20 | 16 |
| დანფერმლ. | 13 | 3 | 4 | 6 | 9-17 | 13 |
| აბერდინი | 12 | 2 | 6 | 4 | 11-15 | 12 |
| მოზერუელი | 13 | 3 | 3 | 7 | 14-19 | 12 |
| სტ. მირენი | 13 | 3 | 1 | 9 | 9-18 | 10 |
| დანდი იუნ. | 13 | 0 | 2 | 11 | 7-28 | 2 |

## ჰოლანდია
### I დივიზიონი. XI ტური

სიტარდი – ბრედა 1-2
ალკმარი – ტვენტე 5-0
ჰერენვენი – გრააფსხაფი 1-0
პსვ – აიაქსი 1-1
ნაიმეგენი – ტილბერგი 3-0
როდა – ვალვაიკი 0-1
სპარტა – გრონინგენი 2-0
უტრეხტი – ფეიენოორდი 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტესი | 9 | 7 | 1 | 1 | 23-12 | 22 |
| ფეიენოორდი | 7 | 6 | 1 | 0 | 17-6 | 19 |
| ბრედა | 9 | 5 | 1 | 3 | 17-10 | 16 |
| აიაქსი | 10 | 4 | 3 | 3 | 21-15 | 15 |
| პსვ | 8 | 4 | 3 | 1 | 12-7 | 15 |
| ვალვაიკი | 10 | 4 | 3 | 3 | 10-9 | 15 |
| ნაიმეგენი | 9 | 3 | 6 | 0 | 16-9 | 15 |
| ტილბურგი | 9 | 3 | 4 | 2 | 16-14 | 13 |
| ტვენტე | 10 | 3 | 4 | 3 | 16-19 | 13 |
| როდა | 8 | 3 | 3 | 2 | 16-13 | 12 |
| ალკმაარი | 9 | 4 | 0 | 5 | 18-18 | 12 |
| ჰერენვენი | 8 | 3 | 3 | 2 | 10-10 | 12 |
| გრონინგენი | 11 | 3 | 2 | 6 | 15-21 | 11 |
| უტრეხტი | 9 | 3 | 2 | 4 | 17-19 | 11 |
| გრააფსხაპი | 10 | 3 | 1 | 6 | 15-19 | 10 |
| სპარტა | 9 | 2 | 1 | 6 | 15-23 | 7 |
| როზენდალი | 9 | 1 | 0 | 8 | 14-26 | 3 |
| სიტარდი | 8 | 0 | 2 | 6 | 4-22 | 2 |



„შალკე-04“ – „ბაიერი“ 0-0.
ბურთისათვის იბრძვიან ანდი მოლერი და კარსტენ რამელოვი

## ბელგია
### I დივიზიონი. XI ტური

ლიერსი – მუსკრონი 1-4
ბევერენი – ბეერსხოტი 2-1
შარლერუა – ლუვიე 2-1
ანდერლეხტი – ლოკერენი 8-0
გენკი – გენტი 1-1
სტ. ტრუიდენი – მეხელენი 1-0
ანტვერპენი – სტანდარდი 1-2
ჰარელბეკი – აალსტი 2-4
ვესტერლო – ბრიუგე 0-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 11 | 11 | 0 | 0 | 40-9 | 33 |
| ანდერლეხტი | 11 | 9 | 2 | 0 | 39-12 | 29 |
| სტანდარდი | 11 | 8 | 1 | 2 | 33-13 | 25 |
| შარლერუა | 11 | 7 | 0 | 4 | 20-21 | 21 |
| მუსკრონი | 11 | 6 | 1 | 4 | 26-13 | 19 |
| ლიერსი | 11 | 6 | 1 | 4 | 22-17 | 19 |
| გენტი | 11 | 5 | 2 | 4 | 24-21 | 17 |
| ვესტერლო | 11 | 5 | 2 | 4 | 19-20 | 17 |
| ბეერსხოტი | 11 | 5 | 0 | 6 | 19-19 | 15 |
| გენკი | 10 | 3 | 5 | 2 | 15-11 | 14 |
| ბევერენი | 11 | 4 | 2 | 5 | 10-19 | 14 |
| ლოკერენი | 11 | 3 | 4 | 4 | 12-20 | 13 |
| სტ. ტრუიდ. | 11 | 2 | 3 | 6 | 11-19 | 9 |
| ანტვერპენი | 10 | 3 | 0 | 7 | 9-17 | 9 |
| ჰარელბეკი | 11 | 2 | 1 | 8 | 15-35 | 7 |
| აალსტი | 11 | 2 | 1 | 8 | 10-32 | 7 |
| ლუვიე | 11 | 1 | 3 | 7 | 9-23 | 6 |
| მეხელენი | 11 | 1 | 2 | 8 | 15-26 | 5 |

## შვედეთი
### XXV ტური

ბაის – ნორჩოპინგი 3-0
ელსბორგი – ჰალმშტადი 0-2
იერებრო – სუნდსვალი 2-3
ტრელებორგი – ფრიოლუნდა 3-0
ჰეკენი – აიკ 2-2
იორგრიტე – გიოტებორგი 1-2
ჰამარბი – ჰელსინგბორგი 0-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 25 | 16 | 4 | 5 | 46-22 | 52 |
| აიკ | 25 | 13 | 5 | 7 | 37-29 | 44 |
| ჰელსინგბორგი | 25 | 13 | 4 | 8 | 47-29 | 43 |
| ელსბორგი | 25 | 13 | 3 | 9 | 42-36 | 42 |
| გიოტებორგი | 25 | 11 | 8 | 6 | 40-31 | 41 |
| იორგრიტე | 25 | 11 | 4 | 10 | 31-28 | 37 |
| ტრელებორგი | 25 | 9 | 8 | 8 | 28-27 | 35 |
| იორებრო | 25 | 9 | 6 | 10 | 43-38 | 33 |
| ჰამარბი | 25 | 9 | 6 | 10 | 32-38 | 33 |
| ნორჩოპინგი | 25 | 7 | 11 | 7 | 38-30 | 32 |
| სუნდსვალი | 25 | 7 | 8 | 10 | 34-40 | 29 |
| ჰეკენი | 25 | 4 | 13 | 8 | 38-46 | 25 |
| გაისი | 25 | 4 | 8 | 13 | 26-41 | 20 |
| ფრიოლუნდა | 25 | 2 | 6 | 17 | 15-62 | 12 |

## საბერძნეთი
### IV ტური

პანილიაკოსი – ოლიმპიაკ. 0-3
იონიკოსი – აეკ 0-2
ოფი – პანათინაიკოსი 0-0
ეთნიკოსი – პანაჰაიკი (30.X)
ათინაიკოსი – კალამატა 3-2
პანიონიოსი – ქსანთი 0-0
ირაკლისი – იანინა 2-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკ. | 4 | 3 | 1 | 0 | 14-4 | 10 |
| აეკი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-2 | 10 |
| პანათინაიკ. | 4 | 2 | 2 | 0 | 6-3 | 8 |
| არისი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-4 | 7 |
| ირაკლისი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| ქსანთი | 4 | 1 | 3 | 0 | 4-3 | 6 |
| პაოკი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| პანაჰაიკი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| იონიკოსი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| ეთნიკოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-8 | 4 |
| პანიონიოსი | 4 | 0 | 3 | 1 | 2-4 | 3 |
| ათინაიკოსი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-9 | 3 |
| კალამატა | 4 | 0 | 2 | 2 | 3-5 | 2 |
| ოფი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-5 | 2 |
| პანილიაკ. | 4 | 0 | 2 | 2 | 1-5 | 2 |
| იანინა | 4 | 0 | 1 | 3 | 4-8 | 1 |

## გერმანია
### ბუნდესლიგა. X ტური

კოტბუსი – ბოხუმი 2-0
ჰანზა – ვოლსბურგი 1-1
უნტერჰახინგი – ჰამბურგი 2-1
აინტრახტი – ფრაიბურგი 3-0
დორტმუნდი – კაიზერი 1-2
ვერდერი – ბაიერნი 1-1
შალკე – ლევერკუზენი 0-0
მიუნხენი 1860 – ჰერტა 0-1
კიოლნი – შტუტგარტი 3-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერტა | 10 | 7 | 0 | 3 | 24-14 | 21 |
| ბაიერნი | 10 | 6 | 1 | 3 | 20-10 | 19 |
| შალკე | 10 | 5 | 3 | 2 | 20-8 | 18 |
| კაიზერი | 10 | 5 | 2 | 3 | 13-9 | 17 |
| ლევერკუზ. | 10 | 4 | 4 | 2 | 13-11 | 16 |
| დორტმუნდი | 10 | 5 | 1 | 4 | 15-16 | 16 |
| ვოლსბურგი | 10 | 4 | 3 | 3 | 24-15 | 15 |
| ჰამბურგი | 10 | 4 | 3 | 3 | 22-19 | 15 |
| აინტრახტი | 10 | 4 | 2 | 4 | 14-14 | 14 |
| ჰანზა | 10 | 4 | 2 | 4 | 7-14 | 14 |
| ფრაიბურგი | 10 | 3 | 3 | 4 | 13-11 | 12 |
| მიუნხენი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-16 | 12 |
| კიოლნი | 10 | 3 | 2 | 5 | 15-21 | 11 |
| შტუტგარტი | 10 | 2 | 4 | 4 | 16-20 | 10 |
| კოტბუსი | 10 | 3 | 1 | 6 | 11-20 | 10 |
| ბოხუმი | 10 | 3 | 1 | 6 | 8-19 | 10 |
| უნტერჰახ. | 10 | 2 | 3 | 5 | 11-19 | 9 |

## რუსეთი
### უმაღლესი ლიგა. XXVIII ტური

ზენიტი – სპარტაკი 1-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 28 | 21 | 1 | 6 | 66-29 | 64 |
| ლოკომ. (მ) | 28 | 17 | 8 | 3 | 38-16 | 59 |
| ტორპედო | 28 | 14 | 7 | 7 | 39-28 | 49 |
| ანჟი | 28 | 14 | 7 | 7 | 38-27 | 49 |
| დინამო | 28 | 13 | 8 | 7 | 44-34 | 47 |
| ჩერნომორ. | 28 | 12 | 10 | 6 | 44-26 | 46 |
| ზენიტი | 28 | 12 | 7 | 9 | 35-25 | 43 |
| ცსკა | 28 | 11 | 5 | 12 | 41-35 | 38 |
| ალანია | 28 | 10 | 8 | 10 | 31-33 | 38 |
| სატურნი | 28 | 9 | 9 | 10 | 25-29 | 36 |
| როტორი | 28 | 8 | 8 | 12 | 34-50 | 32 |
| როსელმაში | 28 | 6 | 13 | 9 | 23-25 | 31 |
| ფაკელი | 28 | 6 | 10 | 12 | 24-44 | 28 |
| კრილია სოვ. | 28 | 6 | 5 | 17 | 23-45 | 23 |
| ლოკომ. (ნ.ნ.) | 28 | 3 | 8 | 17 | 16-43 | 17 |
| ურალანი | 28 | 2 | 6 | 20 | 17-51 | 12 |

## ინგლისი
### პრემიერლიგა. XI ტური

არსენალი – მანჩესტერ სიტი 5-0
ასტონ ვილა – ჩარლტონი 2-1
იფსვიჩი – მიდლსბრო 2-1
ლესტერი – დერბი 2-1
მანჩესტერ იუნ. – საუთჰემპტ. 5-0
სანდერლენდი – ქოვენთრი 1-0
ვესტ ჰემი – ნიუკასლი 1-0
ჩელსი – ტოტენჰემი 3-0
ლივერპული – ევერტონი 3-1
ბრედფორდი – ლიდსი 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 11 | 7 | 3 | 1 | 31-8 | 24 |
| არსენალი | 11 | 7 | 3 | 1 | 22-10 | 24 |
| ლივერპული | 11 | 6 | 3 | 2 | 20-14 | 21 |
| ლესტერი | 11 | 5 | 4 | 2 | 9-7 | 19 |
| იფსვიჩი | 11 | 5 | 3 | 3 | 16-12 | 18 |
| ჩელსი | 11 | 4 | 4 | 3 | 22-14 | 16 |
| ასტონ ვილა | 10 | 4 | 4 | 2 | 13-9 | 16 |
| ნიუკასლი | 11 | 5 | 1 | 5 | 11-10 | 16 |
| სანდერლ. | 11 | 4 | 4 | 3 | 9-11 | 16 |
| ლიდსი | 10 | 4 | 3 | 3 | 15-14 | 15 |
| ჩარლტონი | 11 | 4 | 3 | 4 | 17-18 | 15 |
| ტოტენჰემი | 11 | 4 | 2 | 5 | 15-17 | 14 |
| მანჩესტ.სიტი | 11 | 4 | 2 | 5 | 14-19 | 14 |
| ევერტონი | 11 | 3 | 3 | 5 | 14-19 | 12 |
| ვესტ ჰემი | 11 | 2 | 5 | 4 | 13-14 | 11 |
| ქოვენთრი | 11 | 3 | 2 | 6 | 11-22 | 11 |
| მიდლსბრო | 11 | 2 | 4 | 5 | 16-18 | 10 |
| საუთჰემპტ. | 11 | 2 | 4 | 5 | 12-20 | 10 |
| ბრედფორდი | 11 | 1 | 4 | 6 | 5-17 | 7 |
| დერბი | 11 | 0 | 5 | 6 | 16-28 | 5 |

## საფრანგეთი
### I დივიზიონი. XIII ტური

ბასტია – სტ. ეტიენი 0-0
ლილი – ტულუზი 1-0
ლიონი – ოსერი 2-2
მეცი – ლანსი 2-1
პ.ს.ჟ. – ბორდო 1-2
რენი – გინგამი 1-2
სედანი – ნანტი 2-0
სტრასბურგი – მარსელი 1-1
ტრუა – მონაკო 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პ.ს.ჟ. | 13 | 7 | 3 | 3 | 27-18 | 24 |
| ლილი | 13 | 6 | 4 | 3 | 15-9 | 22 |
| სედანი | 13 | 6 | 4 | 3 | 18-14 | 22 |
| ბასტია | 13 | 6 | 3 | 4 | 15-12 | 21 |
| გინგამი | 13 | 6 | 3 | 4 | 17-15 | 21 |
| ბორდო | 13 | 5 | 5 | 3 | 19-14 | 20 |
| ტრუა | 13 | 5 | 5 | 3 | 18-15 | 20 |
| მონაკო | 13 | 5 | 4 | 4 | 19-16 | 19 |
| ნანტი | 13 | 5 | 3 | 5 | 19-19 | 18 |
| მეცი | 13 | 5 | 3 | 5 | 12-14 | 18 |
| ლანსი | 13 | 4 | 5 | 4 | 13-14 | 17 |
| ლიონი | 12 | 3 | 7 | 2 | 14-12 | 16 |
| რენი | 13 | 4 | 3 | 6 | 14-13 | 15 |
| მარსელი | 13 | 4 | 3 | 6 | 13-16 | 15 |
| ოსერი | 13 | 4 | 3 | 6 | 13-16 | 15 |
| სტ. ეტიენი | 13 | 3 | 5 | 5 | 19-22 | 14 |
| სტრასბურგი | 13 | 3 | 2 | 8 | 12-30 | 11 |
| ტულუზი | 12 | 1 | 3 | 8 | 10-18 | 6 |



„რაიო ვალეკანო“ – „ალავესი“ 0-1

## თურქეთი
### X ტური

ფენერბახჩე – დენიზლი 5:2
ტრაბზონი – ანთალია 4:0
ანკარაგიუჯიუ – ადანა 4:0
ბურსა – იეთფა 3:2
ერზურუმი – ბეშიქთაში 1:3
გაზიანთეფი – რიზე 2-1
სამსუნი – გენჩლერბირლიგი 1-2
ქოჯაელი – ისთანბული 1-1
გალათასარაი – იოზგათი 3-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრაბზონი | 10 | 7 | 2 | 1 | 21-7 | 23 |
| გალათასარაი | 10 | 7 | 1 | 2 | 28-9 | 22 |
| ბეშიქთაში | 10 | 7 | 1 | 2 | 24-12 | 22 |
| ფენერბახჩე | 10 | 7 | 1 | 2 | 22-12 | 22 |
| გაზიანთეფი | 10 | 6 | 3 | 1 | 24-12 | 21 |
| გენჩლერბ. | 10 | 6 | 1 | 3 | 14-12 | 19 |
| ანკარაგიუჯუ | 10 | 4 | 3 | 3 | 14-14 | 15 |
| დენიზლი | 10 | 4 | 2 | 4 | 15-18 | 14 |
| ანთალია | 10 | 3 | 4 | 3 | 13-14 | 13 |
| ისთანბული | 10 | 3 | 4 | 3 | 10-14 | 13 |
| სამსუნი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-14 | 12 |
| ადანა | 10 | 2 | 4 | 4 | 15-18 | 10 |
| იოზგათი | 10 | 2 | 3 | 5 | 9-15 | 9 |
| ბურსა | 10 | 2 | 3 | 5 | 11-22 | 9 |
| ერზურუმი | 10 | 2 | 2 | 6 | 13-22 | 8 |
| რიზე | 10 | 1 | 4 | 5 | 7-11 | 7 |
| ქოჯაელი | 10 | 1 | 2 | 7 | 6-17 | 5 |
| იეთფა | 10 | 0 | 3 | 7 | 13-28 | 3 |

## შვეიცარია
### „ა“ ჯგუფი. XVI ტური

ლუცერნი – გრასჰოპერსი 2-3
სიონი – ლუგანო 3-2
ქსამაქსი – სერვეტი 2-1
ციურიხი – არაუ 1-0
ბაზელი – ივერდონი 2-1
ლოზანა – სტ. გალენი 0-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუგანო | 16 | 9 | 4 | 3 | 27-13 | 31 |
| სტ. გალენი | 16 | 8 | 6 | 2 | 27-12 | 30 |
| გრასჰოპერსი | 16 | 9 | 2 | 5 | 38-15 | 29 |
| ბაზელი | 16 | 8 | 4 | 4 | 31-22 | 28 |
| ლოზანა | 16 | 8 | 2 | 6 | 28-24 | 26 |
| სიონი | 16 | 6 | 4 | 6 | 18-26 | 22 |
| სერვეტი | 16 | 5 | 6 | 5 | 22-19 | 21 |
| ციურიხი | 16 | 4 | 7 | 5 | 24-20 | 19 |
| არაუ | 16 | 4 | 4 | 8 | 19-30 | 16 |
| ივერდონი | 16 | 4 | 4 | 8 | 20-28 | 16 |
| ლუცერნი | 16 | 4 | 3 | 9 | 23-38 | 15 |
| ქსამაქსი | 16 | 3 | 2 | 11 | 16-46 | 11 |

## დანია
### XIV ტური

ოლბორგი – სილკებორგი 4-4
ჰადერსლევი – აკადემისკი 1-1
ოდენსე – ვიბორგი 2-1
კოპენჰაგენი – ჰერფიოლგე 1-1
ორჰუსი – ბრონდბიუ 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 14 | 8 | 2 | 4 | 37-17 | 26 |
| მიდტიულ. | 13 | 7 | 4 | 2 | 23-14 | 25 |
| კოპენჰაგენი | 14 | 7 | 4 | 3 | 21-10 | 25 |
| სილკებორგი | 14 | 6 | 7 | 1 | 20-18 | 25 |
| ლიუნგბიუ | 13 | 8 | 0 | 5 | 23-23 | 24 |
| ოდენსე | 14 | 6 | 2 | 6 | 22-15 | 20 |
| ვიბორგი | 14 | 5 | 4 | 5 | 18-12 | 19 |
| ოლბორგი | 14 | 5 | 3 | 6 | 23-25 | 18 |
| ორჰუსი | 14 | 5 | 1 | 8 | 19-28 | 16 |
| აკადემისკი | 14 | 3 | 5 | 6 | 19-22 | 14 |
| ჰერფიოლგე | 14 | 3 | 4 | 7 | 17-29 | 13 |
| ჰადერსლევი | 14 | 0 | 4 | 10 | 12-41 | 4 |

## პოლონეთი
### XII ტური

პოლონია – ვიძევი 3-1
სტომილი – ვროცლავი 0-0
შლიონსკი – ზაგლემბე 2-1
ოდრა – გურნიკი 0-0
რუხი – ლეგია 1-4
კატოვიცე – რაძიონკოვი 3-0
პლოცკი – ვისლა 0-5
ამიცა – პოგონი 1-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 12 | 10 | 1 | 1 | 32-6 | 31 |
| ლეგია | 12 | 7 | 4 | 1 | 18-7 | 25 |
| პოგონი | 12 | 8 | 2 | 2 | 17-8 | 26 |
| პოლონია | 12 | 7 | 3 | 2 | 17-9 | 24 |
| ამიცა | 12 | 6 | 3 | 3 | 25-16 | 21 |
| ზაგლემბე | 12 | 6 | 1 | 5 | 17-14 | 19 |
| ვიძევი | 12 | 4 | 3 | 5 | 19-22 | 15 |
| ოდრა | 12 | 4 | 3 | 5 | 11-17 | 15 |
| სტომილი | 12 | 4 | 3 | 5 | 10-16 | 15 |
| კატოვიცე | 12 | 2 | 7 | 3 | 7-7 | 13 |
| ვროცლავი | 12 | 3 | 4 | 5 | 12-16 | 13 |
| შლიონსკი | 12 | 3 | 3 | 6 | 13-19 | 12 |
| პლოცკი | 12 | 3 | 2 | 7 | 13-24 | 11 |
| გურნიკი | 12 | 2 | 3 | 7 | 10-16 | 9 |
| რუხი | 12 | 2 | 3 | 7 | 11-22 | 9 |
| რაძიონკოვი | 12 | 2 | 1 | 9 | 9-22 | 7 |

## ჩეხეთი
### XII ტური

ბოჰემიანსი – სიგმა 2-2
ბლშანი – ბუდიოვიცე 3-1
სლავია – იაბლონეცი 0-0
დრნოვიცე – ვიქტორია 2-2
სინოტი – ბრნო 2-1
პლზენი – პრჟიბრამი 1-1
ლიბერეცი – ტეპლიცე (30.X).
ბანიკი – სპარტა 1-5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 10 | 9 | 0 | 1 | 33-9 | 27 |
| ლიბერეცი | 11 | 7 | 2 | 2 | 21-10 | 23 |
| სინოტი | 11 | 5 | 4 | 2 | 19-12 | 19 |
| სიგმა | 10 | 5 | 3 | 2 | 19-10 | 18 |
| ტეპლიცე | 10 | 5 | 3 | 2 | 15-10 | 18 |
| სლავია | 9 | 5 | 3 | 1 | 13-8 | 18 |
| პრჟიბრამი | 11 | 5 | 2 | 4 | 16-13 | 17 |
| ბოჰემიანსი | 12 | 3 | 7 | 2 | 17-14 | 16 |
| ბლშანი | 11 | 3 | 4 | 4 | 13-13 | 13 |
| ვიქტორია | 11 | 3 | 3 | 5 | 16-21 | 12 |
| დრნოვიცე | 12 | 3 | 2 | 7 | 12-19 | 11 |
| ბანიკი | 12 | 2 | 5 | 5 | 10-21 | 11 |
| იაბლონეცი | 11 | 1 | 5 | 5 | 9-19 | 8 |
| პლზენი | 12 | 1 | 5 | 6 | 10-27 | 8 |
| ბუდიოვიცე | 10 | 1 | 4 | 5 | 10-21 | 7 |
| ბრნო | 9 | 1 | 2 | 6 | 8-14 | 5 |

## ავსტრია
### XVI ტური

ზალცბურგი – აუსტრია 2-0
შტურმი – ბრეგენცი 4-2
რაპიდი – ადმირა 1-0
ტიროლი – რიდი 2-0
ლინცერი – გრაცერი 0-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 16 | 9 | 4 | 3 | 29-16 | 31 |
| ტიროლი | 16 | 9 | 3 | 4 | 27-13 | 30 |
| გრაცერი | 16 | 8 | 3 | 5 | 25-22 | 27 |
| ზალცბურგი | 16 | 8 | 2 | 6 | 23-22 | 26 |
| აუსტრია | 16 | 7 | 4 | 5 | 25-15 | 25 |
| შტურმი | 16 | 7 | 2 | 7 | 31-23 | 23 |
| რიდი | 16 | 6 | 4 | 6 | 27-23 | 22 |
| ბრეგენცი | 16 | 5 | 4 | 7 | 23-27 | 19 |
| ლინცერი | 16 | 3 | 3 | 10 | 14-35 | 12 |
| ადმირა | 16 | 2 | 3 | 11 | 11-39 | 9 |

ჭადრაკი ● მსოფლიო პირველობის მატჩი




# ველით დღევანდელ პარტიას




მეთერთმეტე-მეცამეტე პარტიების მონაკვეთმა კასპაროვს კარგი არაფერი მოუტანა. საქმე ის არის, რომ სამივე ეს შეხვედრა ყაიმით დასრულდა, რაც პრეტენდენტისათვის, უფრო გამარჯვების ტოლფასია. საინტერესოა ერთი ახლანდელი თავისებურებაც -- კასპაროვი, რომელიც ყოველთვის დიდი საბრძოლო შემართებით გამოირჩეოდა, ახლა აშკარად შეშინებული გამოიყურება. რა დასაწყისს არ მიმართა მან, მაგრამ მაშინვე გამოირკვევა ხოლმე, რომ კრამნიკი ყველა შემთხვევაში მატჩისათვის საუკეთესოდ არის მომზადებული. იგი პირდაპირ გულთმისნურად გამოიცნობს ხოლმე, თუ სად ელის ჩემპიონის „ნაღმი“ და იშვიათი სიმშვიდით უვლის მას გვერდს. როცა კი კასპაროვი რწმუნდება, რომ მისმა მორიგმა მცდელობამ შედეგი არ გამოიღო და მომდევნო ბრძოლა კარგს არაფერის უქადის, იგი მეტოქეს ყაიმს სთავაზობს. სხვანაირად როგორ გნებავთ ავხსნათ, ის 14-სვლიანი ყაიმი, რომელიც ამ მატჩში შეგვხვდა?

დღევანდელი მეთოთხმეტე პარტია, ვინ იცის, შეიძლება ფაქტობრივად გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს, ახლა ანგარიშია 7,5:5,5 პრეტენდენტის სასარგებლოდ და თუ კრამნიკი დღეს მოიგებს, მსოფლიო ჩემპიონი გახდება. ამ შემთხვევაში, დებულების თანახმად, ბოლო ორი პარტია მაინც გათამაშდება, თუმცა მატჩის შედეგზე, ცხადია, უკვე ვეღარ იმოქმედებს. მაშ ასე, დაველოდოთ დღევანდელ შეხვედრას, რომელშიც თეთრებით კრამნიკი ითამაშებს.

ქართული ჭიდაობის მოამაგენი

# ვანო წამალაშვილი (პატარა გლდანელი)



რუბრიკას უძღვება იური იმერლიშვილი

**საკვირველია, საუკუნეების ქარტეხილებმა ვერაფერი დააკლო ჩვენს ეროვნულ საგანძურს — ქართულ ჭიდაობას. იგი, დღესაც, ყველას გასაკვირად, ინარჩუნებს თვითმყოფადობას. მართალია, აღარ ტარდება კალენდარული გეგმით გათვალისწინებული საქართველოს პირველობები, მაგრამ ნახერხმოყრილ საჭიდაოებზე კვლავ იმართება სახალხო ზეიმი — შეჯიბრებები, რომელთა თაოსნები ცალკეული ენთუზიასტები, პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალული ადამიანები არიან. სწორედ ეს გახლავთ ყველაფრის თავი და თავი. ეს ისეთი ძალა, სიყვარული და ამოუცნობი ფენომენია, რომელიც შარავანდედით მოსავს ქართულ ჭიდაობას, ურომლისოდ ეს უნიკალური უნიკალური, უძველესი ქართული კულტურის ორგანული და განუყოფელი ნაწილი დავიწყებას მიეცემოდა. ჩვენდა საბედნიეროდ, საქართველოში თითქმის ყველა თაობას მრავლად ამშვენებდნენ ქართული ჭიდაობისადმი თავდადებული, უანგარო, უამბიციო, გულმხურვალე მოამაგე ადამიანები. საწყენია, რომ მათ შესახებ ჩვენმა საზოგადოებრიობამ, ახალგაზრდა თაობებმა ძალზე ცოტა რამ იციან.**

**რუბრიკის მიზანიც ის გახლავთ, რომ უკვდავყოთ იმ ადამიანთა სახელები, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ქართული ჭიდაობის ისტორიაში, ხოლო ცოცხლებს დამსახურებისამებრ მივაგოთ პატივი, რითაც იმის მაგალითს მივცემთ მომავალ თაობებს, თუ როგორ სათუთად მოაყარონ და შეინახონ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა — ქართული ჭიდაობა.**

**„ლელოს“ დღევანდელ ნომერში წარმოგიდგენთ პიროვნებას, რომელმაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ეროვნული ჭიდაობის პროპაგანდას. მან ერთ-ერთმა პირველმა გასული საუკუნის 20-იან წლებში დაამუშავა და გზა დაულოცა ქართული ჭიდაობის შეჯიბრების წესებს.**

საუკუნის წინათ, 1900 წლის 8 ივლისს სოფელ დიდ გლდანში მიხეილ წამალაშვილის ოჯახში ვაჟი დაიბადა, რომელსაც ვანო დაარქვეს. ბავშვობაში, სოფლის საჭიდაო „კრუგზე“ ეზიარა ქართულ ჭიდაობას და შემდეგ მთელი ცხოვრება არ განელებია სიყვარული ამ ვაჟკაცური სახეობისადმი. იმ დროისათვის საკმაოდ განსწავლულმა მამამისმა ვანო თბილისის „დვორიანსკაია გიმნაზიაში“ მიაბარა, სადაც ბიჭმა განსაკუთრებული სიბეჯითე გამოიჩინა. ის თითით საჩვენებელი მოწაფე ყოფილა. მას ლამაზი და ყველასაგან გამორჩეული კალიგრაფია ჰქონია. აღსანიშნავია, ისიც რომ პატარა ვანო სოფელ დიდი გლდანიდან სასწავლებელში ფეხით დადიოდა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა მიწათმოწყობის ტექნიკუმში გაუგრძელებია, შემდეგ კი დაუმთავრებია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი. სწავლაში ნიჭიერმა ახალგაზრდამ ჭიდაობაშიც თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. 20 წლის ვანო უკვე აღიარებული ფალავანი იყო. მისი ჭიდაობის სილამაზით მოხიბლულმა გულშემატკივრებმა „პატარა გლდანელი“ შეარქვეს, რითაც იგი დიდ კულა გლდანელს შეადარეს. მას სხვადასხვა დროს დაუმარცხებია მიხა ქურხული, შაშო ვერელი, ილო თომაშვილი (სვანელი), თედო წილკნელი, ბებერუა როსტიაშვილი, ფიდო მუხრანელი, გიორგი დოთიაშვილი, იოსებ მეჯვრისხეველი, თხუნელა კაკაბელი, ხვედია საგურამოელი და სხვა.

როგორც ცნობილია, იმ დროს, საქართველოში და განსაკუთრებით თბილისში ჭიდაობა ბევრგან იმართებოდა. ხალხი და ენთუზიასტები თავიანთი თაოსნობით მართავდნენ ჭიდაობებს, რომლებსაც მრავალი მაყურებელი ესწრებოდა. ამ ენთუზიასტთა შორის ყველაზე მცოდნე, პოპულარული და საქმის პატრიოტი ვანო წამალაშვილი იყო, 27 წლისა ქართული ჭიდაობის ეს უბადლო ოსტატი აქტიურ სპორტს ჩამოშორდა და მწვრთნელად დაიწყო მუშაობა, გახსნა სექცია და რკინიგზელ სპორტსმენთა დახელოვნებას მოჰკიდა ხელი. აღზარდა სახელოვანი მოჭიდავეები: შალვა რჩეულიშვილი, რომელიც საქართველოს 1928 წლის ჩემპიონი იყო აბსოლუტურ წონით კატეგორიაში და მიხეილ შაოშვილი, ასევე საქართველოს ჩემპიონი, მსუბუქ წონაში, 1929 წ.

გამოცდილი ფალავანი და მწვრთნელი ვანო წამალაშვილი ნიადაგ ახლის ძიებაში იყო. როგორც ცნობილია, 1925 წლამდე ქართულ ჭიდაობაში წონითი კატეგორიები არ არსებობდა, არც ორთაბრძოლების ხანგრძლივობა იყო დადგენილი. გამარჯვებულს ხალხი ადგენდა შესახილებით: „არის“, ან „არ არის“, რაც ბევრ უხერხულობას, შეხლა-შემოხლ[illegible]ს და ხანდახან ჩხუბსაც იწვევდა. ყოველივე ამ ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით მაშინდელმა საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ ფართო მასშტაბიანი ღონისძიებების გატარება დაიწყო, სხვადასხვა საკითხის შესწავლა და მომზადება ცალკეულ პიროვნებებს დაევალა: გამოჩენილ ფალავანთა ბიოგრაფიების შეგროვება — ძველ მოჭიდავეს ხაშურელს, ქართულ ხალხურ შემოქმედებაში გაბნეული მასალების მოძიება — პოეტებს გიორგი ლეონიძესა და იოსებ გრიშაშვილს, ისტორიული მასალების — პროფესორ ივანე ჯავახიშვილს. საჭიდაო ჩაწერა — ახალგაზრდა მუსიკათმცოდნე გიგიშა ჩხიკვაძესა და დირიჟორ შალვა აზმაიფარაშვილს. სპორტული ტრავმატიზმის საკითხების შესწავლა — კუნჭულიას, ხოლო რაც შეეხება სწავლების მეთოდიკას, ფანდების ჩაწერას და შეჯიბრების წესებს, ამ საკითხების დამუშავებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ვანო წამალაშვილმა, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს, 1926 წელს პირველმა დაამუშავა ქართული ჭიდაობის წესები. შეჯიბრების მონაწილეთათვის შემოღებული იქნა წონითი კა-



ტეგორიები: 65, 70, 75, 80 კგ და 80-ს ზემოთ. განისაზღვრა შეჭიდების ხანგრძლივობა — 5 წუთით, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი დამატებითი დრო — 3 წუთი. დაწესდა ორთაბრძოლის შედეგის შეფასება შემდეგი კრიტერიუმებით: „გამარჯვება“, „ნახევარი გამარჯვება“ და „ფრე“. ხალიჩაზე მსაჯობა დაეკისრა 3 მსაჯს — არბიტრსა და 2 გვერდით მსაჯს, ხოლო ქულათა დათვლა ევალებოდა შეჯიბრების მდივანს, არბიტრის მითითებით.

ვანო წამალაშვილი იყო მრავალი რესპუბლიკური შეჯიბრების უცვლელი მთავარი მსაჯი. მანვე მოამზადა ჭიდაობის ინსტრუქტორები და მსაჯები.

ქართული სპორტის თვალსაჩინო მოღვაწის გიორგი მერკვილაძის გადმოცემით, ვანო წამალაშვილს შეუდგენია, აგრეთვე, ქართული ჭიდაობის სახელმძღვანელო, რომელიც გადაუცია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის. ამ სახელმძღვანელოს მიხედვით კი რეჟისორ სანდრო ჯალიაშვილს გადაუღია სასწავლო ფილმი. (სამწუხაროდ, ამ სახელმძღვანელოს და ფილმს ვერსად მივაკვლიე — ი.ი.)

ვანო წამალაშვილი 1929 წლიდან ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე, იყო თბილისის 31-ე რკინიგზის პროფტექნიკური სასწავლებლის პირველი დირექტორი, წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის რკინიგზის საზოგადოებრივი კვების ვაჭრობის კანტორის უფროსად, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსად და სხვა. არჩეული იყო თბილისის ლენინის (ახლანდელი ნაძალადევის) რაისაბჭოს დეპუტატად და რაიკომის წევრობის კანდიდატად. დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა მეგობართა წრეში. იყო მეტად მოკრძალებული პიროვნება ოჯახისა და მეგობრების მოყვარული, განთქმული თამადა. იგი განსაკუთრებულად მეგობრობდა აკადემიკოსებთან ნიკო კეცხოველთან და ირაკლი აბაშიძესთან. მისით ამაყობდა თბილის ქალაქის აშული იეთიმ გურჯი, რომელმაც პატარა გლდანელს ლექსი მიუძღვნა:

**„ვანოს ვიცნობ გლდანელსა**
**ფალავანი გმირია,**
**შაშოს თავის ძმებითა,**
**მერე ჯოჯიშვილია“.**

ღვაწლმოსილი ფალავანი, მრავალ ჩემპიონთა აღმზრდელი, ქართული ჭიდაობის შეჯიბრების წესების პირველი დამმუშავებელი 1967 წლის 1 თებერვალს გარდაიცვალა.

ქართული სპორტის მემატიანე არ დაივიწყებს ვანო წამალაშვილის სახელს, რომელიც ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ქართული ჭიდაობის ისტორიაში.

***სურათზე: ქართული ჭიდაობის ორი ლეგენდა — სანდრო კანდელაკი (მარცხნივ) და ვანო წამალაშვილი.***

ფორმულა-1 მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

# მიხაელ შუმახერი — გერმანული რაციონალიზმითა და აულაგმავი ბრძოლის წყურვილით

იტალიელ მრბოლ იარნო ტულის არაერთგზის გამოუთქვამს უკმაყოფილება იმის გამო, რომ ტიფოზებს უფრო მეტად „ფერარის“ პილოტი გერმანელი მიხაელ შუმახერი უყვართ ვიდრე თანამემამულეები, რომლებიც სხვა გუნდების სახელით გამოდიან. მაგრამ ეს იმიტომ კი არ ხდება, გერმანელი ლეგენდარულ სკუდეტოს ღირსებას რომ იცავს. უბრალოდ, თავისი ადამიანური თვისებებით მიხაელი ძალზე ახლოსაა აპენინის მაცხოვრებლებთან. მასში იტალიელებივით, სჩქეფს წარმატების აულაგმავი წყურვილი. მისთვის რბოლა — პირველ ყოვლისა საკუთარი თავის, მეტოქისა და ბედის გამოწვევაა. მაგრამ ყველაზე კრიტიკულ მომენტებში მასში იღვიძებს გერმანული რაციონალიზმი, რაც საშუალებას აძლევს მარტო გაიმარჯვოს კი არა — წყლიდან მშრალიც რომ ამოვიდეს.

ყველაფერი ჯერ კიდევ 1994 წელს დაიწყო, როცა იმ სეზონის აშკარა ფავორიტის აირტონ სენას ბოლიდს ბრაზიელთათვის იმედების გაცრუების მეტი არაფერი მოჰქონდა. სწორედ მაშინ გამოჩნდა ჩემპიონატში ახალგაზრდა და ძალზე ნიჭიერი „ბენეტონის“ პილოტი მიხაელ შუმახერი. რბოლის ერთ-ერთ, იმოლის ეტაპს უნდა გადაეწყვიტა პრინციპული კამათი „ფორმულა-1“-ის ასსა და მომავალ ვარსკვლავს შორის. მაგრამ გამოცდილი პილოტის ტრაგიკული დაღუპვის გამო შეწყდა ეს მაინტრიგებელი დუელი, ამიტომაც შუმახერის აშკარა ოპონენტი სენას მეწყვილე დაიმონ ჰილი გახდა. ვიდრე ჰილი მეგობრის დაკარგვის გამო გონს მოვიდოდა, მიხაელი ქულებს აგროვებდა. გერმანელს სადღაც ქვეცნობიერად გაუჩნდა აზრი, რომ იგი სძლევდა დიდ აირტონს, რამაც ცუდი სამსახური გაუწია. ჯერ არაფრის პატრონი, მიუტევებელი საქციელით გამოირჩეოდა. ბოლოს და ბოლოს ფია-მ წესების სისტემატური დარღვევისათვის იგი ორი რბოლიდან მოხსნა. ბოლო ეტაპზე ადელაიდაში შუმახერმა ქულით გაუსწრო ჰილს.

იქნებ იგი გაიმარჯვებდა კიდეც პატიოსან ბრძოლაში, მაგრამ გერმანელმა არ ისურვა, რომ ბედისამარა დარჩენილიყო და გადაწყვიტა პირდაპირი გაგებით მეტოქე გზიდან ჩამოეცილებინა, განგებ დააჯახა მანქანა და მიზანს მიაღწია. მართალია, ახლა აღიარებს, რომ დაიმონს ცუდად მოექცა: „სულაც არ მინდოდა, რომ ხალხს დავმახსოვრებოდი ერთობ ცივ, ანგარიშიან გერმანელად, რომელიც გამარჯვებისათვის ყველაფერზე მიდის, არასპორტულ საქციელზეც კი“.

მომდევნო სეზონი მ. შუმახერმა უნაკლოდ ჩაატარა. გერმანულმა რაციონალიზმმა თავისი ქნა, მაგრამ მას მოსწყინდა — ერთი და იგივე მწვერვალის დაპყრობა უინტერესოაო. ახალი ემოციების და შთაბეჭდილებების მიღების მიზნით „ფერარიზე“ გადაჯდა. ყველა გააკვირვა მისმა განცხადებამ, რომ იმ წელს არ აპირებდა ჩემპიონობის მოპოვებას... თუმცა ეს მიხაელს არ ჰგავდა.

და მართლაც, 1996 წელს „ფერარი“ მხოლოდ უახლოვდებოდა ლიდერებს. შუმახერმა სამად-სამი რბოლა მოიგო. ჩემპიონი კი ჰილი გახდა „უილიამსით“, მაგრამ მაღალ ოსტატური პილოტაჟითა და გამარჯვების წყურვილით მხოლოდ მას შეეძლო დაპირისპირებოდა „უილიამსს“. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა სკუდერია აიძულა ემუშავათ თანამედროვე პირობებში — ისე „გაწვრთნა“ მექანიკოსები, „პიტ-სტოპზე“ მათი მუშაობა ავტომატიზმამდე ავიდა. გუნდი ერთიანად აწყობილ მექანიზმივით ამუშავდა. ითვლება, რომ თანამედროვე „ფორმულა-1“-ში წარმატების მხოლოდ 10 პროცენტი მოდის მრბოლზე. მიხაელ შუმახერმა თვალნათლივ დაანახა ყველას, რომ ეს ციფრი პოლოტების მიმართ აშკარად დაკლებულია.

და ბოლოს, 1997 წელს შუმახერი კვლავ „ოქროს“ ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი გახდა. მაგრამ მას ფატალურად არ უმართლებდა. ხან სასტარტო ღილაკი ვერ მონახა საჭეზე დროზე, რის გამოც იძულებული გახდა ბოლო რიგიდან დაეწყო რბოლა, მერე დაკარგულის აღსადგენად რამდენიმე გიჟური გადასწრებაც იკისრა, ბოლოს და ბოლოს უკანა მარცხენა საბურავი დაეშვა და გამარჯვების ბოლო შანსი დაკარგა.

შარშან კი შუმახერი ახალ პრობლემას წააწყდა. მთავარ კონკურენტად გამოეცხადა თავისივე პარტნიორი „ფერარით“ ედი ირვინი. იმის მაგივრად, რომ მომზადებულიყო ჰაკინენთან საბრძოლველად, იძულებული გახდა ირვინთან გაერკვია ურთიერთობა — ვინაა შინ უფროსი! ასეთ დარტყმას ზურგში შუმახერი, რა თქმა უნდა, არ ელოდა. სილვერსტოუნზე ავარიამ კი იგი მთლად გამოიყვანა მწყობრიდან და მისი დაბრუნების აღარავის სჯეროდა. მაგრამ სილვერსტოუნის შემდეგ მთლად ახალი მიხაელ შუმახერი დაიბადა, რომელსაც ყველა გვერდს უვლიდა, სხვა კაცი გახდა სულით უფრო ძლიერი, სწრაფი მრბოლი, წვრილმანის მიმართ ყურადღებიანი. ალბათ ამ თვისებებმა შეასრულა გადამწყვეტი როლი შარშანდელ გამარჯვებაში.

რაც შეეხება წლევანდელ, 51-ე ჩემპიონატში გამარჯვებას, აქ მან „სან მარინოს „გრან-პრიში“ გამარჯვებით დაამტკიცა, რომ ყველა დანარჩენი მაჩვენებლებით იგი არის დღევანდელი „ფორმულა – 1“-ის ლიდერი და მესამე ოქროსაც დაეპატრონა“.




*მიხაელ შუმახერი*



## განცხადება

საქართველოს ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი იუწყება, რომ 10 ნოემბერს, 13 საათზე, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში მოწვეულია III საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

პროფკავშირის კომიტეტი

# საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

აცხადებს მიღებას 2000/2001 სასწავლო წლისათვის ასპირანტურის დღის (წარმოებიდან მოწყვეტით) განყოფილებაზე:

მიღება წარმოებს შემდეგ სპეციალობებზე:

1. სპ/მედიცინა 1
2. სპორტის ფსიქოლოგია 1
3. ტანვარჯიში 1
4. სპ/თამაშები 1
5. მძლეოსნობა 1
6. ფ/ა თეორია და მეთოდიკა 1

აკადემიაში მიღება იწარმოებს აგრეთვე ფასიან სექტორზე. წლიური გადასახადი არის 300 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეები 35 წლის ასაკამდე, რომლებსაც აქვთ სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ ორი წლისა. 2000 წელს კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ ჩააბარონ მისაღები გამოცდები იმ შემთხვევაში თუ მათ ექნებათ აკადემიის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაცია.

სპორტის აკადემიაში შემსვლელები აბარებენ ორ გამოცდას — სპეციალობაში და უცხო ენაში.

კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება აკადემიის რექტორის სახელზე
2. კადრების აღრიცხვის ფურცელი
3. უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი
4. 4 ფოტოსურათი (ზომით 3X4)
5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან
6. ავტობიოგრაფია
7. ჯანმრთელობის ცნობა
8. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია (ვისაც სამეცნიერო შრომები არა აქვს, ის წარმოადგენს რეფერატს სპეციალობაში).
9. მეცნიერ-ხელმძღვანელის თანხმობა.

საბუთების მიღება იწარმოებს 2000 წლის 1-დან 10 ნოემბრის ჩათვლით.

გამოცდები დაიწყება 21 ნოემბერს (მეორე გამოცდა — 28 ნოემბერს).

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება აკადემიის ასპირანტურის განყოფილებაში.

***მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. №49. ტელეფონი: 29-37-94.***

## კრიმინალი

### 2 წუთი საჯარიმო სკამზე, 1 წელი ციხეში

ვანკუვერში ამას წინათ დაიწყო უნიკალური სასამართლო პროცესი, მსოფლიოს სპორტის ისტორიაში პირველად ყინულის მოედანზე მომხდარ ინციდენტს სამოქალაქო სასამართლო დარბაზში არჩევდნენ. „ბოსტონის" ჰოკეისტთა გუნდის მოთამაშემ მაკსროლმა თებერვალში ყვანჭით მძიმე ტრამა მიაყენა „ვანკუვერის" ფორვარდ ბრაშირს. ხულიგან ჰოკეისტს 1 წლის პატიმრობის მუხლი მიუყენეს. დაზარალებული სრულიად გამოჯანმრთელდა და კლუბთან 2,5 მილიონიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, მაკსროლს კი სარეკორდო, 23 მატჩიანმა დისკვალიფიკაციამ მთელ ხელფასთან ერთად, სამსახურიც დააკარგვინა. ნხლ-ში არავინ მიიწვევს ასეთი რეპუტაციის მოთამაშეს. მაგრამ იგი ღმერთს მთლად არ გაუწირავს. ვანკუვერის იუსტიციის სამინისტროში მივიდა გრეტცკი. ლეგენდარული ჰოკეისტის დარბაზში გამოჩენამ, გაჭირვებაში მყოფი მეგობრის ბედი გარდატეხა... დიდი სპორტსმენები, მოედნის მიღმაც დიდები არიან!

## ავსტრალიური „მუზარადი" პრიზებს ზრდის

ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე, რომელიც, როგორც ცნობილია „დიდი მუზარადის" ციკლში შედის, მომდევნო შეჯიბრებიდან პრიზების თანხა საგრძნობლად გაიზრდება.

ვაჟთა და ქალთა შეჯიბრებებში გამარჯვებულები ერთნაირ თანხას თითოეული 450 ათას დოლარს მიიღებს.

როგორც ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯეფ პოლარდმა განაცხადა, 2001 წლის ჩემპიონატიდან საპრიზო ფონდი ვაჟთა ერთეულებს შორის 10 პროცენტით იზრდება, ქალებს შორის კი მეტით — 15,8 პროცენტით.

საერთო საპრიზო თანხა კი 7,5 მილიონ დოლარს შეადგენს, რაც 2000 წლის საპრიზო ფონდზე 11,5 პროცენტით მეტია.

## 50 ჭაბუკ ჩოგბურთელს დააჯილდოვებენ

როგორც პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ გამოაცხადა, „ახალი ბურთები, თუ შეიძლება!", რომლის მიზანია ჩოგბურთის პოპულარიზაცია მთელ მსოფლიოში. პროგრამაში მონაწილეობენ ბორის ბეკერი, ნიკოლას კიფერი, თომას ჰაასი (ყველა — გერმანია), ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია), გუსტავო კუერტენი (ბრაზილია), ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი), როჯერ ფედერერი (შვეიცარია).

28 ოქტომბერს დაიწყო 32 ჭაბუკი ჩოგბურთელის (18 წლამდე) შეჯიბრება შტუტგარტში, რომელთათვის 50 პრიზი დაწესდა.

## შაიბას სუპერსიმდიდრე მოაქვს

ახალი სეზონის დაწყების წინ გამოქვეყნდა ნხლ-ის ყველაზე ძვირადღირებული ჰოკეისტების მონაცემები. ამ სიის თავში ორი ფორვარდია — შვედი პეტერ ფორსბერგი („კოლორადო") და კანადელი პოლკარია („ანახეიმი").

ორივე ამ სეზონში 10-10 მილიონ დოლარს „გამოიმუშავებს". შემდეგ მოდიან ისეთი სუპერმდიდრები, როგორებიც არიან: იარომირ იაგრი (პიტსბურგი) — 9,4 მილიონი, პაველ ბურე — („ფლორიდა") — 9,0, ერიკ ლინდროსი („ფილადელფია") — 8,5, კეიტ ტკაჩუკი („ფინიქსი") — 8,3, ტეემ სელიანე („ანახაიმი") და სტივ აიზერმანი („დეტროიტი") — 8,0-8,0, ჯო საკიკი („კოლორადო") — 7,9, ბრაიან ლიტჩი („რეინჯერსი") — 7,6 და მატს სუნდინი („ტორონტო") — 7,5.

# ტოტო ლოტო №42

ტირაჟის შედეგები 28–29.10.2000

## ლოტო 6-42

11 13 15 16 38 42

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 რიცხვი | 0 x | 34515.20 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟზე |
| 5 რიცხვი | 0 x | 492.80 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟზე |
| 4 რიცხვი | 9 x | 24.60 ლარი | |
| 3 რიცხვი | 183 x | 2.10 ლარი | |

## სუპერ 7

0 7 5 7 9 9 7

| | | | |
|---|---|---|---|
| 0757997 | 50,000 ლარი | 997 | 50 ლარი |
| 757997 | 15,000 ლარი | 97 | 3 ლარი |
| 57997 | 5.000 ლარი | 7 | 0.50 ლარი |
| 7997 | 500 ლარი | | |

## ტოტო ფეხბურთი — 12 მატჩი

1X1 X11 12X 1X1

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 x | 6168.90 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟზე |
| 11 შედეგი | 0 x | 2119.10 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟზე |
| 10 შედეგი | 1 x | 154.80 ლარი | |

43-ე ტირაჟის პროგრამა (4-5. 11. 2000)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | ინგ. | ლიდსი | ლივერპული | 40-40-20 |
| 2. | ინგ. | ქოვენთრი | მანჩესტერ იუნ. | 20-20-60 |
| 3. | ინგ. | ევერტონი | ასტონ ვილა | 30-40-30 |
| 4. | გერ. | რეჯინა | იუვენტუსი | 20-20-60 |
| 5. | გერ. | ბარი | პარმა | 20-40-40 |
| 6. | გერ. | ვერონა | ინტერი | 30-40-30 |
| 7. | ესპ. | ვოლფსბურგი | კოტბუსი | 60-30-10 |
| 8. | ესპ. | ჰამბურგი | ფრაიბურგი | 50-30-20 |
| 9. | ესპ. | კაიზერი | შალკე | 30-40-30 |
| 10. | საფ. | ლას პალმასი | ბარსელონა | 20-30-50 |
| 11. | საფ. | ესპანიოლი | ვალენსია | 20-40-40 |
| 12. | საფ. | ოსასუნა | ბილბაო | 40-30-30 |

## ტოტო ფეხბურთი — 11 მატჩი

XX2 2X1 11X 1X

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 შედეგი | 0 x | 200.10 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟზე |
| 10 შედეგი | 0 x | 200.10 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟზე |
| 9 შედეგი | 0 x | 33.70 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟზე |

43-ე ტირაჟის პროგრამა (4-5. 11. 2000)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | გერ. I | ბაიერნი | დორტმუნდი | 50-30-20 |
| 2. | გერ. I | კაიზერი | შალკე | 30-40-30 |
| 3. | გერ. I | შტუტგარტი | კანზა | 50-30-20 |
| 4. | გერ. I | ბოხუმი | მიუნხენ 1860 | 30-40-30 |
| 5. | გერ. I | ჰერტა | ვერდერი | 50-30-20 |
| 6. | გერ. I | ჰამბურგი | ფრაიბურგი | 50-30-20 |
| 7. | გერ. I | უნტერხახინგი | კიოლნი | 30-40-30 |
| 8. | გერ. I | ვოლფსბურგი | კოტბუსი | 60-30-10 |
| 9. | გერ. II | ჰანოვერი | დუისბურგი | 50-30-20 |
| 10. | გერ. II | ულმი | ალემანია | 40-30-30 |
| 11. | გერ. II | ოსნაბრიუკი | ზანქტ პაული | 30-40-30 |

# სპორტული ლოტო №06

ტირაჟის შედეგები 29.10.2000

| სვლა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოგებაში შესული რიცხვები | 22 | 2 | 10 | 11 | 7 | 3 | 5 | 8 | 14 | 19 |
| სვლა | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| მოგებაში შესული რიცხვები | 20 | 4 | 16 | 15 | 17 | 13 | 24 | 6 | 21 | 18 |
| მოგებული თანხა | | 10,000 ლარი | 1,000 ლარი | 100 ლარი | 50 ლარი | 10 ლარი | 5 ლარი | 2 ლარი | 1 ლარი | 2 ბილეთი |

გათამაშებული რიცხვები: 1 9 12 23

მოგებული ბილეთებიდან გამოვლენილი გამარჯვებულები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი ტირაჟის ტელე-თამაშში:

| | |
|---|---|
| გია ბასილაძე (ტყიბული) | ედუარდ თოდრია (თბილისი) |
| ნანი იორამაშვილი (თბილისი) | ისიდორე ბოდოკია (წყალტუბო) |

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**31 ოქტომბერი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (10.30), ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონატები და მიმოხილვა: ინგლისის (14.00, 21.40), გერმანიის (16.30), ბრაზილიის (19.55), ესპანეთის (23.00), ***НТВ плюс спорт.*** ბილიარდის მეფეები (23.00), ჭადრაკი. მატჩი მსოფლიოს პირველობაზე (0.00), ***ESPN.*** ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (12.30), ინგლისის პრემიერ-ლიგა. „ლიდსი" – „ბრედფორდ სიტი". (19.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (13.30, 14.00, 15.00).

**1 ნოემბერი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.20, 20.00), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონატები და მიმოხილვა: ესპანეთის (13.15, 1.35), ბრაზილიის (13.45, 20.45), ინგლისის (15.30), რუსეთის (18.55), იტალიის (23.25), ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. მატჩი მსოფლიო პირველობაზე (11.40), „ბილიარდის მეფეები" (17.15), სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი (18.15), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (5.30, 8.00, 14.30, 17.00). ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი „რომა" – „ინტერი" (0.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლები (11.30). რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (23.00).

**2 ნოემბერი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** რაგბის მოყვარულთათვის (20.50), ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.40), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონატები და მიმოხილვა: იტალიის (15.00, 19.50), ესპანეთის (16.45, 21.35), ბრაზილიის (18.30), გერმანიის (0.30), ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. მატჩი მსოფლიო პირველობაზე (0.00), ***ESPN.*** იტალიის საფეხბურთო მიმოხილვა (12.00), ჩემპიონათა ლიგა (16.00), ინგლისის პრემიერლიგა (19.30), ***EUROSPORT.*** თანამედროვე ხუთჭიდი (12.00), მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის ჩემპიონთა ლიგა (13.00). რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (23.00), ფეხბურთი. საფრანგეთის სპეცგამოშვება (3.00).



# კროსვორდი №85

**თარაზულად:** 4. მძლეოსნობის სახეობა, 6. სუსტი მოწინააღმდეგისთვის წინდაწინ მიცემული უპირატესობა, 8. სპორტული შეჯიბრების შედეგი, 9. ინგლისის საფეხბურთო კლუბი, 10. ქართველი ფეხბურთელი — მეკარე, 11. იტალიისა და წნორის საფეხბურთო კლუბების სახელი, 13. წარსულში ცნობილი შოტლანდიელი ფეხბურთელი, 14. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 15. სრული ფიასკო, 20. ცნობილი რუსი ფალავანი, ოლიმპ. თამაშების სამგზის ჩემპიონი, 21. თერთმეტმეტრიანი ანუ... 22. მოსკოვის „ლოკომოტივის" საფეხ. კლუბის მწვრთნელი, 24. წარსულში ცნობილი ბრაზილიელი ფორვარდი, 25. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი, 26. ინგლისის საფეხბურთო კლუბი, 27. მძლეოსნური იარაღი.

**შვეულად:** 1. საფრანგეთის საფეხ. კლუბი, 2. ფრანგი ვეტერანი ჩოგბურთელი ვაჟი, 3. ვეტერანი ფრანგი ფეხბურთელი-ფორვარდი, 5. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიადის მონაწილე, 7. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 11. საფრანგეთის საფეხ. კლუბი, 12. ქართული ხალხური თამაშობა, 16. „პარმას" საფეხ. მწვრთნელი, 17. ახლო წარსულში ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი — ფორვარდი, 18. საქართველოს და შვეიცარიის საფეხ. კლუბები, 19. იტალიური გავლენიანი გაზეთი, 23. ინგლისის საფეხბურთო ნაკრების ახალგაზრდა ფორვარდი.

## №84 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. შელია, 6. ბალავაძე, 8. ნებიერიძე, 11. რალი, 12. აეროზიკა, 17. კორტი, 18. ნდო, 19. ნბა, 21. ანი, 22. ილი, 23 „ვიძევი", 24. რაი, 25. იმნაძე, 27. ენცო, 28. ლი, 30. რაცი, 31. „ეტა", 32. მარაო, 35. იურანი, 36. „სევილია".

**შვეულად:** 1. „ლეჩე", 2. იაძე, 3. „ვარძია", 4. დვირი, 7. ძოლა, 9. ბერტონი, 10. რუი, 13. ბალავაძე, 14. კალაძე, 15. ლოუ, 16. შტანგა, 20. ივანი, 26. ნეცერი, 29. ეტო, 33. ონო, 34. ვეა.

ვინც სურვილი გამოთქვა საგზაო პოლიციის უფროსი ინსპექტორის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად მონაწილეობა მიეღო კონკურსში, მომდევნო კონკურსში მონაწილეობისთვის მ/წ 2 ნოემბერს 10 საათზე უნდა გამოცხადდეს ქუთაისში საგზაო პოლიციის მე-6 განყოფილებაში.

***მისამართი: გუგუნავას ქ. №1 (ელექტრომექანიკურ ქარხანასთან).***

**საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო**

**სააქციო საზოგადოება სპორტულ კომპლექს „ლაგუნა"-„ვერეს" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მუშაკი, განყოფილების უფროსი**

**დავით შალამბერიძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

დაკრძალვა: 31 ოქტომბერს — 15 სთ-ზე

მისამართი, ნუცუბიძის 3 მ/რაიონი, II კვარტალი, 8 კორპუსი, ბინა 11.

**საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია, ვეტერანი წყალბურთელები, მოცურავეები, წყალში მხტომელები, სინქრონული მოცურავეები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**დავით შალამბერიძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## საჭადრაკო ამოცანა

**ო. მამულაშვილი**

(სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. ლh8! მუქარა 1. ლa8X. 1. ...ლ:d6 2. მe3X. 1. ...ლc5 2. მf4X. 1. ...მd4 2. ლ:d4X. 1. ...მe5 2. ლ:e5X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშნიძე.